საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 3 აპრილი. 2018 წ. №68 (8469), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

SOS! „კუდიანებზე ნადირობა“ ③



ნუგზარ ფოფხაძე:

დასახვრეტთა სიაოოოოო!!! მდაააა!!

უგუნურების ჭაობში ⑥ ⑦

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

უფრთხილდით „ავტომატიან კაცებს“

იოსებ ჭუმბურიძე:

მაიტა ნასოსი!

ანუ აკრძალვა დემოკრატიის სახელით?!

საიუბილეო თარიღი უაღლუმოდ...

წელს 26 მაისს პირველი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წელი სრულდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დამოუკიდებლობის დღის გრანდიოზული აღნიშვნა გასულ კვირას დააანონსა.

„პირველი რადიო“ დაინტერესდა, ჩატარდება თუ არა წელს სამხედრო აღლუმი. თავდაცვის სამინისტროში განმარტეს, რომ დამოუკიდებლობის დღე არაერთი ღონისძიებით იქნება დატვირთული. ღონისძიებები თბილისის გარდა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებშიც გაიმართება, თუმცა დამოუკიდებლობის დღე ამჯერადაც სამხედრო აღლუმის გარეშე ჩაივლის. **„აღლუმი არ იქნება, თუმცა იქნება ღონისძიება ძალიან მასშტაბური სახის“,** — განაცხადა ნინო თოლორდავამ. ღონისძიებების ზუსტი ნუსხა ჯერჯერობით უცნობია.

ტრამპი პუტინს ვაშინგტონში შეხვედრა

20 მარტს რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების სატელეფონო საუბრისას დონალდ ტრამპმა პუტინს შესთავაზა ერთმანეთს ვაშინგტონში შეხვდნენ, ამის შესახებ რუსთის პრეზიდენტის თანაშემწე იური უშაკოვმა განაცხადა. **„თუ ყველაფერი ნორმალურად იქნება, იმედი მაქვს, ამერიკული მხარე უარს არ იტყვის სამიტზე, როდესაც პრეზიდენტებმა ტელეფონით ისაუბრეს, ტრამპმა პუტინს შესთავაზა, პირველი შეხვედრა ვაშინგტონში გაემართათ“,** —აცხადებს უშაკოვი.

ვახტანგ დავითაია:

დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს!

④

„არ შეიძლება, 1,5-მილიონიანი ქალაქის გენგეგმა დაჯდეს 2,8 მლნ ლარი, ანუ – 4-5 ჯიპის ფასი“

იტალიაში ქართველები ქართველებს ძარცვავენ

საქართველოს მოქალაქეებმა იტალიაში ფულადი გზავნილების ოფისი გაძარცვეს. არსებული ინფორმაციით, ქალაქ ბარიში მდებარე დაწესებულება საქართველოს მოქალაქეებს ეკუთვნით.

მძარცველებმა ოფისიდან ასეული ევროს გატაცება მოახერხეს. მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

სემეკმა მოქალაქეებს მარტში 170 ათას ლარზე მეტი ჩამოაწერა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) მიმდინარე წლის მარტში 9 საჯარო სხდომა გამართა და 221 საკითხზე იმსჯელა. სხდომაზე განსახილველი საკითხების უმეტესობა შეეხებოდა ფიზიკურ, იურიდიულ პირებსა და ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების სექტორებში მოქმედ კომპანიებს შორის არსებულ დავებს.

სხდომებზე საკითხები წარმოადგინეს სემეკის მოქალაქეთა საჩივრების დეპარტამენტმა და ენერგოომბუდსმენმა სალომე ვარდიაშვილმა.

მოქალაქეთა საჩივრები მოიცავდა ხანდაზმულ დავალიანებებს, კომპანიების მიერ უსაფუძვლოდ დარიცხულ თანხებს, მრიცხველის საფასურს, კომპანიის დადგენილებებს აბონენტთა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობის თაობაზე. კომისიის გადაწყვეტილებებით ჩამოწერილი თანხების ოდენობამ 170 022.70 ლარი შეადგინა.

სემეკი შეახსენებს მოქალაქეებს, რომ იმ შემთხვევაში თუ ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, მიმართონ სემეკს ან სემეკთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს. მოქალაქეებს კონსულტაციების მიღება შეუძლიათ როგორც ცხელ ხაზზე 16 216, ასევე კომისიის Facebook გვერდზეც.

გამოცემის მე-100 წელი

მასმედია არ აშუქებს გაკეთებულ საქმეებს... დღეს მოდაშია ნეგატივი

„მინდა, საკმაოდ დეტალურად ვისაუბრო ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ვინაიდან, სამწუხაროდ, ხშირად მასმედია არ აშუქებს გაკეთებულ საქმეებს. დღეს, მოგეხსენებათ, მოდაშია ნეგატივი და ხშირად, ადამიანებმა, სამწუხაროდ, არ იციან თუნდაც მეზობელ სოფელში თუ ქალაქში გაკეთებული საქმის შესახებ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვართ თვითკმაყოფილნი გაკეთებული საქმით. რა თქმა უნდა, წინ გაცილებით უფრო ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ მნიშვნელოვანია, გაკეთებული საქმეები და შესრულებული დანაპირები იცოდნენ განსაკუთრებით ჩვენი პარტიის აქტივის წევრებმა“, — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის განცხადებით, ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა ჯამში დაახლოებით 1700 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 151 300 000 ლარია.

„რეგიონში დაიგო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 401 კმ გზას — 70 500 000 ლარი.

აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 100-მდე საბავშვო ბაღს — 8 400 000 ლარის ოდენობით. მხოლოდ გასული 3 წლის განმავლობაში აშენდა 9 საბავშვო ბაღი, მათ შორის: ქალაქ რუსთავში, მარნეულში სოფელ ალგეთში, სოფელ სადახლოში, წელს დასრულდება საბავშვო ბაღების მშენებლობა წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში კიზილკილისსა და კოხტაში, გარდაბანში სოფელ ახალსოფელში და სოფელ აღთაკლიაყარათაკლიაში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამღერეთში და სოფელ ასურეთში. აღნიშნულ ბაღებს ჯამში 800-ზე მეტი ბავშვის მომსახურება შეუძლიათ.

რეაბილიტირდა და ახალი სასმელი წყლის სისტემა იქნა გაყვანილი 278 სოფელში, თანხით 15 800 000 ლარი. გასულ წელს დაიწყო ისეთი მასშტაბური პროექტი, როგორიცაა მარტყოფის, ნორიოსა და ახალსოფლის წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა, რომელიც, უნდა ითქვას, რომ თავისი მნიშვნელობით და მასშტაბებით უპრეცედენტოა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის და იგი 5 სოფლის — ახალსოფლის, ნორიოს, მარტყოფის, ახალი სამგორის და ვაზიანის 18 000-მდე ოჯახს მოემსახურება 24-საათიან რეჟიმში. მოეწყო 3 ნაგავსაყრელი — რუსთავში, რომლის ღირებულება თითქმის ნახევარი მილიონი ლარია; დმანისში, რომლის ღირებულება 160 ათას ლარზე მეტია,ბოლნისში, რომლის ღირებულება 300 ათას ლარია . ასევე დაიხურა 2 ნაგავსაყრელი — მანგლისსა და წალკაში. მოეწყო ნარჩენების გადამტვირთავი სადგური მანგლისი-წალკა, რომლის ღირებულებაა 230 ათასი ლარია.

რედაქციისგან

ბატონო პრემიერო!

მართლაც ცუდია, თუ ზოგიერთი კრიჭაში მდგომი „თავისუფალი“ მასმედიის საშუალება მთავრობის გაკეთებულ საქმეებს არ აშუქებს, მაგრამ... კიდევ უფრო ცუდია, როცა მთავრობა და მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ხუთ წელიწადზე მეტია, ქვეყნის წამყვან გაზეთებს არ კითხულობს, პრემიერს, ვიცე-პრემიერს, მინისტრებს ყოველდღიურ დაიჯესტებს არ უმზადებს, კრიტიკულ, საქმიან და სახელმწიფოებრივი დატვირთვის მქონე წერილებს არ აანალიზებს და რედაქციებს არავინ პასუხობს!

მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

ქარიყლაპია ფიურერმა მ. სააკაშვილმა ქვეყნის თითოეულ ჩინოვნიკს გაზეთების კითხვა აუკრძალა, არ გამოიწეროთო, არ იყიდოთო და რედაქციების სახსრებით აშენებული „სამშობლოს“ შენობიდან გამოგვყარა!.. თქვენც, ოცნების „ნანატრი“ ხელისუფლება, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, მის გზას აგრძელებთ, გაზეთებს მართლა არ კითხულობთ, კრიტიკულ პუბლიკაციებს არ პასუხობთ, „საქართველოს ფოსტას“ პრესის გავრცელების ფუნქცია ჩამოართვით!

გაგვაგებინეთ მაინც, ბატონო პრემიერო, კონკრეტულად ვინ არ აშუქებს მთავრობის გაკეთებულ საქმეებს? — საზოგადოებრივი მაუწყებელი? ტელეკომპანია „იმედი“? „მაესტრო“? გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა?“, „კვირის პალიტრა“?, „საერთო გაზეთი“? თუ „ლელო“?..

ყველა აშუქებს თქვენს მიღწევებს, მაგრამ... თქვენგან და თქვენი მოქიშპე პარტიული ტელევიზიებიდან, რამდენიმე „ავადმყოფი“ გაზეთიდან იმდენი ნეგატივი მოდის, სიცოცხლე შეგძულდება კაცს!

აი, ასეთი ტელევიზიები, გაზეთები არ უნდა გააფეტიშოთ, ცილისწამებისთვის მკაცრად აზღვევინოთ, საპასუხო პიარკამპანია აამუშაოთ და მოსახლეობაც დაარწმუნოთ, რომ პრინციპულები, გაბედულები და „მაგრები“ ხართ.

ეს ცხოვრება ომია, ომი! ომში კი მხოლოდ ჯნსაღ მედიასთან დამეგობრებული მთავრობები იმარჯვებენ!

„ქართული ოცნება“ პარტიული რეფორმების მეორე ტალღას გეგმავს

„ქართული ოცნება“ საპრეზიდენტოდან საპარლამენტო არჩევნებამდე პერიოდში პარტიული რეფორმების მეორე ტალღას გეგმავს. ამის შესახებ პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ რუსთავში, საქალაქო კონფერენციაზე განაცხადა.

„ქვეყანა ვითარდება ყველა მიმართულებით. ჩვენთვის უმთავრესი მონაპოვარია დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები. ეს იყო მთავარი მიღწევა 2012 წელს და ჩვენი ამოცანაა, რომ კიდევ უფრო გავამყაროთ დემოკრატია, უკეთესად დავიცვათ ადამიანის უფლებები და კიდევ უფრო მეტი თავისუფლება მივანიჭოთ ჩვენს საზოგადოებას. ასევე, თქვენი დამსახურებით ვითარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და გასული წლის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ევროპის მასშტაბით. ასევე, გვაქვს ფუნდამენტური მიღწევები საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. თქვენ გახსოვთ, რა მდგომარეობა იყო საქართველოში განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ. ჩვენთან მნიშვნელოვნად გაიზარდა სტაბილურობის ხარისხი, გაუმჯობესდა ვითარება უსაფრთხოების კუთხით, რაშიც უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის იმ პოლიტიკას, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ საგარეო პოლიტიკის სფეროში ხორციელდება. ეს არის რაციონალური და პრაგმატული პოლიტიკა, რომლის მიზანიც არის ჩვენი სტაბილურობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება“, — განაცხადა კობახიძემ. კობახიძის თქმით, წინსვლაზე საუბრისას მმართველ გუნდს არ ავიწყდება ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი გამოწვევებიც. პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ აღნიშნულ არჩევნებში წარმატებას მოიპოვებს.

„შემდეგ ჩვენ გვექნება დაახლოებით ორწლიანი პერიოდი საპრეზიდენტო არჩევნებიდან საპარლამენტო არჩევნებამდე იმისთვის, რომ დამატებით ვიზრუნოთ პარტიის განვითარებაზე, პარტიის გაძლიერებაზე და ამ პერიოდისთვის ჩვენ გვაქვს დაგეგმილი მეორე ტალღა ჩვენი პარტიული რეფორმების, რაც საბოლოოდ ჩამოაყალიბებს „ქართულ ოცნებას“ ევროპული ტიპის პოლიტიკურ პარტიად, რომელიც არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში არის გააქტიურებული, არამედ არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდშიც მუდმივად მონაწილეობს საარჩევნო პროცესებში, არის ჩართული პოლიტიკური პროცესების დაგეგმაში და ამ პროცესების მართვაში“, — განაცხადა კობახიძემ.

მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობას შალვა თადუმაძე შეასრულებს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობას მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე შეასრულებს.

ცნობისთვის: მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი მაია ცქიტიშვილი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად დაინიშნა. მაია ცქიტიშვილი ამ თანამდებობას 2012 წლიდან იკავებდა.

მემორანდუმი რეპრესირებული ადვოკატების საქმეებს ეხება

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის ე. წ გირგვლიანის შესწორებებთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის მიზანი იმ ღონისძიებების მხარდაჭერაა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში 2005-2012 წლებში რეპრესირებული ადვოკატებისთვის და 05.12.2012 წლის №76-ls დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ, ან დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულების საქმეების შესწავლასა და სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე, მარეაბილიტირებელი გარემოებების დადგენას, რაც შესაძლებლობას მისცემს პირს, აღიდგინოს სამართლიანი სასამართლოს დარღვეული უფლება. მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი დააფინანსებს იმ დროებითი კომისიის მუშაობას, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ უკვე შექმნა. „უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის“ დროებითი კომისია რეპრესირებული ადვოკატებისა და პოლიტპატიმრად აღიარებული პირების მიმართვის შემთხვევაში, შეისწავლის მათ საქმეებს, მოამზადებს დასკვნებს და დაეხმარება, მიმართონ სასამართლოს მათი საქმეების ხელახლა განხილვის მიზნით. კომისია ასევე დაეხმარება ზემოაღნიშნულ პირებს მიმართონ პროკურატურას მათ საქმეებში სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის გამოძიების მოთხოვნით. მემორანდუმს ხელი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ მოაწერეს.

* * *

მამუკა მდინარაძის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ადვოკატთა ასოციაციას შორის გაფორმებულ მემორანდუმს ე.წ. გირგვლიანის შესწორებებთან არავითარი კავშირი არა აქვს.

„მემორანდუმთან, რომელიც შეეხება 2005-2012 წლებში რეპრესირებული ადვოკატების საქმეების გადახედვას, არაფერ შუაშია “გირგვლიანის შესწორებები“. რატომ თქვა ასე პრეზიდენტმა, თავად მას უნდა ჰკითხოთ. ფაქტია, რომ საუბარია სხვადასხვა თემაზე. თავის მხრივ, გირგვლიანის შესწორებები, რომელიც უკვე დაარეგისტრირა ჩვენმა ფრაქციამ და ხვალინდელ ბიუროზე გავა, შეეხება პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილ დანაშაულების პრევენციას და ხელს უწყობს მოქალაქეთა დაცულობას სახელმწიფო ძალმომრეობისგან. მეორე მხრივ, ის არის მართლმსაჯულების ხელშეუვალობის ძალიან მაღალი გარანტია იმისა, რომ მომავალში ვერავინ შეძლოს მსგავსი ქმედებების ჩადენა“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

დასახვრეტია სიაოოოო!!! მდაააა!!

ამ თემას მომავალში დავუბრუნდები. მანამდე ვიტყვი ზოგადად, ყველაზე მნიშვნელოვანს:

შევახსენებ ყველას, მტერსაც და მოყვარესაც:

1. ასეთი სიის გავრცელების (ჭორად თუ მართლად) შედეგების მწარე გამოცდილება აქვს ჩვენს ქვეყანას... მაშინდელმა, ანუ, 1989-1990-იანი წლების სისხლიან მოვლენებთან დაკავშირებულმა ე.წ. „დასახვრეტთა სიამ“ გადამწყვეტი თუ არა, ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის დაქცევაში, რომელსაც ყველა უბედურებასთან ერთად შედეგად მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება, თბილისის დანგრევა და სამოქალაქო ომი – ომთა შორის ყველაზე საშინელი, დაუნდობელი, სისხლისმღვრელი დაპირისპირება...

დაგავიწყდათ? თუ იმასაც ვერ ხედავთ, ერის გახლეჩის რა სავალალო შედეგებს ვიმკით დღესაც....

ამიტომ, ამ სიის შემდგენელ და მის პოლიტიკურად წარმმართველ თუ მხარდამჭერ ცალტვინა ბრიყვების ჯგუფს მივმართავ: თქვენ აზრზე თუ ხართ, რას აკეთებთ, პროვოკატორებო, თქვე მართლა... **ნ ა ბ ი ჭ ვ რ ე ბ ო?!**

(უკაცრავად, სამეგობროსთან, მკითხველთან, არასოდეს მიმიცია უფლება, საკუთარი თავისთვის საჯაროდ გამომეყენებინა ამ მოვლენის შეფასებისთვის ზედგამოჭრილი ეს „სიტყვა“).

2. საქართველოს პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უშიშროების სამსახურმა დაუყოვნებლივ (!!!) უნდა დაიწყოს კანონით გათვალისწინებული მოქმედება, რამეთუ ეს სია და მისი შემქმნელ-მხარდამჭერები ქმნიან პირობებს, რათა ქვეყანაში დაიწყოს „კუდიანებზე ნადირობა“, აშკარა სამოქალაქო დაპირისპირება და აღმშენებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნის საავარაუდო დაქცევის „მორიგი“ ტური.

დაე, ეს პუბლიკაცია შესაბამისმა სტრუქტურებმა მიიღონ საქართველოს ერთი მოქალაქის ოფიციალურ მოთხოვნად კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დაწყებაზე.

პროკურატურის „ვარსკვლავთბიჭუნების“ გასაგონად ვამბობ: ჩემისთანებს რომ „დასდევთ“ და რომელიღაც ე.წ უფლებადამცველის, რეალობაში კი გახრწნილი დედაკაცის თუ სხვა მსგავსი ავადმყოფების ნათქვამის გამოკიდებით რაღაც „ფარულ“ კადრებს ეძებთ და გაწბილებულები საბოდიშოდ იხდით საძმეს, მიხედეთ იმ ნაცზონდერებს, რომლებიც დღისით, მზისით ქვეყნის გასაგონად მოუწოდებენ თავიანთ თანამოაზრე ე.წ. „პარტიზანებს“, მიხედეთო ამ ხალხს, რომ „ტყვიამ არ იცისო“ ხანდაზმულობის ვადა“.

ეს რა, ტერორიზმისკენ მოწოდება არ არის? კარგად ჩაიხედეთ სიაში, ვისი ფიზიკური განადგურებისკენ მოუწოდებენ ეს სულით და ხორცით სიმახინჯის განსახიერებები, ნამდვილად მამალი პროვოკატორები.

და კიდევ ერთი, პაწია მინიშნება: არ გეჩვენებათ საეჭვოდ და დამაფიქრებლად, რომ ამ სიაში, გამადიდებელი „ლუპითაც“ ვერ იპოვით ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა გვარებს? საინტერესოდ არ გეჩვენებათ ეს „მრავლისმეტყველი“ ფაქტი?

ამ შეკითხვას არა მარტო პროკურატურის „ვარსკვლავთბიჭუნების“, არამედ უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თავკაცთა გასაგონად ვსვამ: გეყურებათ, ბატონებო?!?!?!

* * *

ახლა პირადული. ცოტა მსუბუქიც.

ამ ოცი წლის წინათ გაზეთმა „მერიდიანმა“ გამოაქვეყნა „რუსეთის აგენტების სია“, რომლის სათავეშიც ცხონებული ვახტანგ გოგუაძე, მაშინდელი ექსსპიკერი „ჩასვეს“, შემდეგი ასევე ცხონებული ექსვიცესპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და ა.შ.

თქვენი მონა-მორჩილისთვის, რომელსაც არამცთუ მაგ დროს, არამედ1989 წლის შემდეგ (სხვათა შორის, დღემდეც) საქართველოში არცერთ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ, ჩვეულებრივ საჯარო სამსახურში კი არავითარი თანამდებობა არ ჰქონია, პასკვილის ავტორებმა ამ „აგენტურის“ სიაში მეშვიდე ადგილი „გაიმეტეს“.

აღვშფოთდი. ნაცნობ-ახლობლებში სასწრაფოდ მოვიკითხე რედაქტორი და... მათივე დახმარებით, სულ ცოტა ხანში, ერთი კოხტა, გამოწკეპილი ბიჭუნაც მომიყვანეს. გამეცნო:

– ძია ნუგზარ, მე მიშა ვარ ჩერქეზია, ამ გაზეთის რედაქტორი, ვწუხვარ, რომ თბილისში არ ვიყავი და ამ „უხერხულმა“ მასალამ დღის სინათლე იხილაო. რა თქმა უნდა, არ გთვლით რუსეთის აგენტად, მით უმეტეს, თქვენს დიდ ოჯახს ბავშვობიდან კარგად ვიცნობო... და დაამატა: მე გვიდონ ჩერქეზიას შვილი ვარო.

ელდა მეცა. გვიდონი ჩემი უფროსი ძმის ძმადნაფიცი გახლდათ, ერთად ჯარგამოვლილი და ნათელმირონით დაკავშირებულნი. და, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ჩემი ახლობელიც. სამწუხაროდ, უდროდ გარდაცვლილის ოჯახზე საკმაო ამაგიც მქონდა გაწეული. საქართველოში კარგა ხნით არნამყოფს, ეს ჭაბუკი ნანახი არ მყავდა და ვერც კი ვიცანი.

განვიარაღდი. არადა, საჩხუბრად ვიყავი გამზადებული, თანაც ავტორიტეტულ „მოწმეთა“ თანდასწრებით: გოგი ხარაბაძე, დავით სალარიძე, იური როსტი და სხვები.

როგორც იქნა, მოვახერხე ნერვების დაოკება და მკაცრად ვუსაყვედურე: შენ რა გგონია, რუსეთის აგენტად რომ გამომაცხადეთ, მაგის გამო მინდოდა შენთან შეხვედრა და „ჩხუბი“-მეთქი? არა, მე უფრო საშინელ შეცდომაზე უნდა მოგთხოვო პასუხი: ეს რა ჩაიდინეთ, როგორ მოახერხეთ ჩემი ასეთი დაკნინება... სულ სამოოთხი წლის წინათ რუსული აგენტურის პირველ სამეულში უცვლელად ვიყავი ედუარდ შევარდნაძესა და გურამ მგელაძესთან ერთად, ზოგჯერ მაგათაც არ „ვუთმობდი“ პირველობას და ახლა როგორ და რატომ გადამაგდეთ-მეთქი... პირველიდან მეშვიდე ადგილზე?!

რედაქტორი დაიბნა, უაზროდ შემომცქერის... ჩემი სტუმრები კი, ისტერიკაში ჩავარდნენ.

დღეს, როცა „ახალი“ სია წავიკითხე, ნაცმოძრაობა და მისი ტინგიცა, ურცხვი, შეგნებით „ლილიპუტა“ რომ ჩემულობს მის ავტორობას, თანაც უტიფრად არც მალავს ჩანაფიქრს და გვემუქრება კიდეც, უფრო უარეს დღეში ვარ ჩავარდნილი, საშინლად გაღიზიანებული და შეურაცხყოფილი. მეტისმეტად მტკივნეული დარტყმა მომაყენეს: ე.წ. ახალ „დასახვრეტთა სიაში“, უახლოეს წარსულში ეს ცნობილი ერთ-ერთი უპირველესი აგენტი (ანუ მე), 88-ე ადგილზე „გადამაგდეს“

...

ამას, ნამდვილად ვერ „გადავყლაპავ“!... მიუხედავად იმისა, რომ თითქმის „ბლატნოი“ – 89-ე ნომერი „მომაკერეს“, და მაინცდამაინც ცუდ „კამპანიაში“ არ მომახვედრეს: კათოლიკოს-პატრიარქი და მისი მოსაყდრე, რობიკო სტურუა, ბიძინა ივანიშვილი, კახი კავსაძე, ნინო ბურჯანაძე, ელდარ შენგელაია, ელიზბარ ჯაველიძე, ასლან აბაშიძე, გიორგი კვირიკაშვილი, გოგი ქავთარაძე, ნანა დევდარიანი, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, თამარ გვერდწითელი, გრიგოლ ონიანი, დათო ოქიტაშვილი... მთელი ქართული პარლამენტის „ნაღები“...

ერთი სიტყვით, ოკუპანტებისა და სეპარატისტების, აგრეთვე, რამდენიმე, ადგილობრივი თუ საზღვარგარეთ „მოღვაწე“, რუსულ თემასთან მეტისმეტად კონიუნქტურულად დაკავშირებული და ჩემთვის ყოვლად მიუღებელი, ბინძური ტიპი რომ არა, ყურადღებას არამცთუ მივაქცევდი მეგობარ-ახლობელთა „საინფორმაციო“ ზარებს, არამედ ვიამაყებდი კიდეც ამ „კამპანიაში“ ყოფნას, მაგრამ...

ჰოდა, ამ უტვინო პროვოკაციის ავტორებისგან კატეგორიულად მოვითხოვ: ან „დამაწინაურეთ“ ისევ და, ბოლოს და ბოლოს, პირველ ხუთეულში მაინც მომახვედრეთ, ან, ეს ჩემთვის ყოვლად მიუღებელი ტიპაჟი სიიდან „გააქრეთ“, თორემ...

აქამდე რომ „რაღაც“ ნაბიჯებზე თავს ვიკავებდი, აწი მკითხეთ ნაც-ნაბიჭვრების „აგენტობა“ და კაიკაცობა. ამ კატეგორიას არ მივაკუთვნებ იმ ადამიანებს, ვისთანაც წლების მანძილზე ნორმალური ადამიანური ურთიერთობა მქონდა, რომლებიც ცდილობდნენ თავი აერიდებინათ „მამალი“ არაკორექტულობისთვის, თუმცა, გული კი მწყდება იმაზე, რომ ამ შემთხვევაშიც „ენის მუცელში ჩაგდების“ სტილს ამჯობინებენ ეს მშიშარა და მედროვე საცოდავები.



დასასრულ კი, ჩემი სალამი დოქსოპულო ოთოია კახიძეს, გასილაძეებულ გიორგი კანდალაკს და არაერთ შუბლზეძარღვგაწყვეტილ უტიფარს (სძესის, ასაკის, მდგომარეობის გაუთვალისწინებლად)... აუუუ, რამდენი გვარია ჩამოსათვლელი.

შენ დაუკა!

ნუგზარ ფოფხაძე

მნიშვნელოვანია, კომპანიამ RMG დარღვევები გამოასწოროს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი კაზრეთში იმყოფებოდა, სადაც კომპანია RMG Copper-ისა და RMG Gold-ის წარმოებას ადგილზე გაეცნო. კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გარემოსდაცვითი საკითხები განიხილეს და მინისტრმა კომპანიის მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმაზე ინფორმაცია მოისმინა.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა უწყების თანამშრომლები გაეცნენ RMG ის საქმიანობას. 2015-16 წლებში ჩვენი შემოწმების შედეგად რამდენიმე მიმართულებით იყო დარღვევები გამოვლენილი. მნიშვნელოვანია, რომ ის დარღვევები გამოსწორდეს და სწორედ ამ ღონისძიებებზე გვქონდა საუბარი. უშუალოდ ჩვენი თვალით გვინდოდა გვენახა, თუ სად არის კრიტიკული წერტილები, პრობლემები და როგორი იქნება კომპანიის მიერ გამოსწორების მექანიზმები, როგორი იქნება გონივრული ვადები და ამაზე სპეციალისტებთან ერთად შევჯერდებით“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელის ჯონი შუბითიძის განცხადებით, RMG-ის შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა, რომლის შედგენაშიც საერთაშორისო კომპანია Golder Associates-ი იყო ჩართული. RMG საწარმო საქმიანობას ლევან დავითაშვილთან ერთად მისი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი მუკნიაშვილი და სამინისტროში შემავალი სხვა უწყებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ლომჯარია პარლამენტს ანგარიშს აბარებს

საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ საქართველოს პარლამენტს 2017 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

„თანასწორობის უფლების დაცვისკენ მიმართული რეგულაციების ეფექტურ განხორციელებას, სხვა საკითხებთან ერთად არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიები და საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი შეხედულებები აფერხებს. დღემდე ყველაზე დაუცველი ჯგუფებია ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის, ბავშვები, ლგბტ თემის და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები.

გამოწვევას წარმოადგენს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის და გენდერული თანასწორობის მაჩვენებელი, ძალადობა და ფემიციდის მაღალი რიცხვი. პრობლემურია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ სამართალდარღვევებზე რეაგირება და გადაუჭრელია საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების დაბრუნების საკითხიც“, – წერია ანგარიშში.

347-გვერდიან ანგარიშში წარმოდგენილია კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი, მითითებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. მიმოხილულია სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდი ძირითადად მოიცავს 2017 წელს, მაგრამ მასში ასევე გაანალიზებულია ის პრობლემები, რომლებიც მანამდე არსებულ პერიოდში წარმოიშვა და საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

შეთანხმება მიღწეულია – გენგეგმაზე მუშაობას „სითი ინსტიტუტი“ გააგრძელებს

„სითი ინსტიტუტი“ დედაქალაქის გენერალურ გეგმაზე მუშაობას გააგრძელებს. კომპანიას ვალდებულებების შესასრულებლად ვადა 1 ივნისამდე აქვს. დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით კომპანია დოკუმენტზე მუშაობას დაასრულებს. როგორც კახა კალაძემ კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მერია „სითი ინსტიტუტს“ ხელს შეუწყობს მუშაობაში და იმედს გამოთქვამს, რომ გეგმის საბოლოო დოკუმენტი ქმედითი და ხარისხიანი იქნება. იქიდან გამომდინარე, რომ გენერალური გეგმის არსებობა თბილისისთვის არის უმნიშვნელოვანესი, მივიღეთ გადაწყვეტილება, დავასრულებინოთ „სითი ინსტიტუტს“ თავისი ვალდებულებების შესრულება. ჩვენ გვაქვს მოლოდინი და ყველანაირად შევუწყობთ ხელს, რომ „სითი ინსტიტუტმა“ წარმოადგინოს ქმედითი, გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი და ხარისხიანი მასალა“, – განაცხადა თბილისის მერმა.

დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს!

დედაქალაქის ლამის აქილევსის ქუსლად ქცეული გენერალური გეგმის თაობაზე

ვესაუბრებით არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას

— ბატონო ვახტანგ, დიდი ვნებათაღელვაა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით. ამ დღეებში კიდევ ერთი განხილვა მოეწყო სასტუმრო „ბილტმორში“. ესწრებოდით ამ განხილვას?

— დიახ, ვესწრებოდი მხოლოდ ერთი საათი, შემდგომი პერიპეტიები ტელევიზიით ვიხილე.

— რატომ მხოლოდ ერთი საათი?

— ჩავთვალე ჩემი იქ ყოფნის სარგებლიანობა ნული იქნებოდა. ასაკში ვარ. დროს ვუფრთხილდები.

— მაინც რა არ მოგეწონათ?

— დავიწყებ იმით რაც მომწონს დღევანდელი მერიის საქმიანობისა.

არის შეგრძნება რომ ქალაქს ყავს პატრონი. ეს ცოტა არ არის, მაგრამ ეს ავანსია. არის მიზანდასახულობა, მერიის ხელმძღვანელობა რთულ პრობლემებს არ გაურბის.

არ მომეწონა ის, რომ მომხსენებლები იყვნენ ვიცემერი და არქიტექტურის სამსახურის უფროსი. მომხსენებლები უნდა ყოფილიყვნენ ავტორები, სპეციალისტები, რომლებმაც კოლოსალური შრომა გასწიეს. ეს იგივეა, ჭაბუა ამირეჯიბს გამომცემელი მოუყვეს, როგორ დაწერა დათა თუთაშხია. **სამწუხაროდ, ძლევამოსილად გრძელდება სააკაშვილის მიერ დანერგილი უწესობა. ის არ აჭაჭანებდა თავის გვერდით არქიტექტორს, ყველაფრის არქიტექტორი და ავტორი თავად იყო, იდეაც მისი იყო, თვითონ ქმნიდა ესკიზებს (თურმე), თვითონ ამტკიცებდა, თვითონ ატარებდა პრეზენტაციას.** მახსოვს, სოფელ გავაზის სკოლის, რომელსაც სამი წელი შევალიე, გახსნა-პრეზენტაცია შემთხვევით ტელევიზიით ვიხილე. სტუდენტი, პირველ საკურსო პროექტს რომ წარმოადგენს, მას უფლება აქვს, დაიცვას თავისი პროექტი. ასეთია წესი. მინდა, კიდევ ერთხელ ვიყვარო, უკვე მერამდენჯერ, **დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს!**

მომეწონა ავტორების მიერ მოწყობილი პრეზენტაცია საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში. ატმოსფერო და შედეგები რადიკალურად განსხვავდებოდა 27 მარტის პრეზენტაციისგან. მინდა, შევახსენო ქალაქის ხელმძღვანელებს, მათი ყველაზე საიმედო, ერთგული და ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ და არიან არქიტექტორები. მათ გაფრთხილება სჭირდება. ადმინისტრირება ყავლგასული მეთოდია.

მინდა, აღვნიშნო, თბილისი ყველაზე სწორად, უკონფლიქტოდ და ეფექტურად იმ წლებში ვითარდებოდა, როდესაც მთავარი არქიტექტორი იმავდროულად მერის მოადგილე იყო. ეს იყო ბატონი შოთა ყავლაშვილის დროს. თბილისის ეს სიახლე შემდგომში მრავალმა ქალაქმა გადაიღო. ბუნებრივია, მთავარი არქიტექტორი პროფესიით არქიტექტორი იყო, ეს სადაო არასდროს ყოფილა.

— თბილისელები, მთელი საზოგადოება, იმედის თვალით უყურებს გენგეგმის დამტკიცებას, ფიქრობენ, ის მოაგვარებს ათეული წლების მანძილზე შექმნილ ქაოსს.

— არაფერი მსგავსი არ იქნება. ამ დოკუმენტს, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია წერტილი დაუსვას ახალ ქაოსს და განუკითხაობას. დასნეულებული ქალაქის გაჯანსაღება-განტვირთვის ერთადერთი ეფექტური საშუალებაა თბილისის გარშემო 2-3 მცირე ქალაქი-სატელიტის მშენებლობა, ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს „სტუდენტთა ქალაქი“ — სადაც ახლგაზრდები ისწავლიან და იცხოვრებენ. ქალაქ-სატელიტში შეიძლება თბილისიდან მრავალი ფუნქციის გატანა, მკვეთრად განიტვირთება ტრანსპორტი. ქალაქი-სატელიტებმა იხსნეს პარიზი და ევროპის სხვა ისტორიული ქალაქები გაჩანაგებისგან.

— „პრეზენტაციაზე“ გენგეგმის ავტორების გამოსვლაში გამოითქვა წუხილი მერიასა და საავტორო ჯგუფს შორის კომუნიკაციის სირთულეზე, რამაც გარკვეული პრობლემები შექმნა.

— მესმის საავტორო ჯგუფების წუხილი, დარწმუნებული ვარ მათ სიმართლეში, ეს საკუთარი „გამოცდილებით“ შემიძლია, დავადასტურო. მეოთხე თვეა, ვითხოვ მერთან შეხვედრას ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, რაც დღემდე ვერ მოხერხდა.

ესაუბრა
რუსუდან ქოგულია

„არ შეიძლება, 1,5-მილიონიანი ქალაქის გენგეგმა დაჯდეს 2,8 მლნ ლარი, ანუ - 4-5 ჯიპის ფასი“

თბილისის პრობლემაზე „მენაშენეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილი გვესაუბრება.

— შენიშვნები გენგეგმის მიმართ მუდამ იარსებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ქალაქი ერთნაირი იქნებოდა. ასეთი დოკუმენტი ყოველთვის აზრთა შეჯერებით მიიღება. როდესაც მსგავს დოკუმენტზე მუშაობენ, ყოველთვის მნიშვნელოვანია, სწორად იყოს მიცემული დავალება, რისი მიღებაც გსურს — ვფიქრობ, თავის დროზე დიდი შეცდომა დაუშვა მერიამ, როდესაც ზერელე დავალება მისცა კონტრაქტორ კომპანიას.

როდესაც თბილისის გენგეგმის შედგენა დაავალეს, რაიმე კონკრეტული დავალებები არსებობდა? როგორც ვიცი, უთხრეს, კარგი გენგეგმა გაგვიკეთეო და გუნდმა, რომელიც მუშაობდა, დადო ის, რაც ჩათვალა საჭიროდ. რაც შეეხება ჯგუფს, რომელიც დოკუმენტზე მუშაობს, მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება და რაც დაავალეს, მგონია, რომ ის გააკეთეს.

ვინმემ იცის საქართველოს როგორი ბიუჯეტი ექნება 20 წლის შემდეგ? — ალბათ არა, თუმცა გენგეგმა სწორედ ამ ციფრებზეა მიბმული, ის ცოცხალი მექანიზმია, იცვლება და ვითარდება ქვეყანასთან ერთად.

— თუმცა, ახლა მთავარია, როგორი გაგრძელება ექნება ამ ყველაფერს...

— მერმა თქვა კიდეც, რომ ეს კარგი დოკუმენტია და მასზე დაყრდნობით უნდა განვავითაროთ — ეს ნიშნავს, რომ ლაპარაკია დედაქალაქის განვითარების შესაბამისად, გენგეგმის მუდმივ განახლებაზე. თუ, დავუშვათ, მოგვიწევს ელექტრონულ ტრანსპორტზე გადასვლა, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება გენგეგმაში კომუნიკაციების თვალსაზრისით და ა.შ.

კიდევ ვიმეორებ, რა დოკუმენტიც მომზადდა, საყრდენად ძალიან კარგია, მაგრამ არის ნიუანსები, რაზეც ღირს დაფიქრება...

გენგეგმა ზოგჯერ დამოკიდებულია ასეთ ნიუანსებზეც — მაგალითად, ამა თუ იმ მუნიციპალიტეტს როგორი ცეცხლსაქრობი სისტემა გააჩნია. პირდაპირ რომ ვიძლევით 40-სართულიანი შენობის აშენების ნებართვას, ვინმემ იფიქრა, ხანძრის შემთხვევაში მისი ჩაქრობა ან ხალხის ევაკუაცია როგორ მოხდება?!

ანუ გეგმა მხოლოდ სურვილებსა და სილამაზეზე არ არის დამოკიდებული — არამედ იმაზე, თუ რისი საშუალებები გაქვს. კომუნისტების დროსაც კი, თბილისი მეორე კატეგორიის ქალაქებში გადიოდა, სადაც არ შეიძლებოდა 16 სართულზე მეტის აშენება, იმიტომ, რომ ევაკუაციის შესაბამისი ტექნიკა არ არსებობდა. დღეს უამრავი ქუჩაა, სადაც სახანძრო მანქანა არა თუ ვერ მოუხვევს, არამედ ვერც შევა — ეს ნიშნავს, რომ ყველა უწყებამ საკუთარი მოთხოვნა უნდა წარუდგინოს მუნიციპალიტეტს და ამ მოთხოვნათა საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ამოცანა, რომელსაც შემდეგ მშენებლებს გადასცემ. ის კი არ უნდა უთხრა, შენ რაც მოგეწონება ის დახატეო! მგონია, ისიც გასათვალისწინებელია, რუსეთის ჯარი თბილისიდან 40 კილომეტრში რომ დგას, მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით, რაღაც სხვანაირადაც შეიძლება დაიგეგმოს...

* * *

მერაბ ბოლქვაძეს, რომელიც 50 წელია, მშენებლობას ემსახურება და საკუთარი საქმის შესანიშნავი სპეციალისტია, ეს ვინმემ უნდა უთხრას — ასეთ ნიუანსებს საკუთარი შეხედულების მიხედვით ვერ გაითვალისწინებს. გარდა ამისა, არ შეიძლება, 1,5-მილიონიანი ქალაქის გენგეგმა დაჯდეს 2,8 მლნ ლარი, ანუ — 4-5 ჯიპის ფასი. თუ გვინდა, ხარისხი და მაღალი სტანდარტი, მაშინ, ალბათ, 25-30 მილიონი ლარი მაინც დაჯდება გენგეგმა. მათ შორის, მხოლოდ სატრანსპორტო კვლევა და მოდულირება შეიძლება დაჯდეს უფრო ძვირი, ვიდრე 2,8 მლნ ლარი. შესაბამისად, ვერ მოვითხოვთ ძალიან მაღალი სტანდარტის გენგეგმას, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ დავალების სწორად ჩამოყალიბება შეიძლება დაჯდეს 10 მლნ ლარი.

— ანუ თვლით, რომ პროცესი ჩიხში ჯერ კიდევ არ არის შესული?

— უკვე კარგია, რომ ამ თემით ჟურნალისტები ინტერესდებიან, მერია აქტიურად არის ჩართული, ბოლო ერთ კვირაში სამჯერ შევხვდი მერიის წარმომადგენლებს, ნარმანიას დროს კი ერთხელაც არა. მგონია, რომ თუ ახალი ამოცანები გაჩნდება, იქნება მსჯელობა და კორექტირებაც მოხდება. უკვე აშენებულს არაფერი ეშველება, თორემ საშლელი იმისთვის მოიგონეს, რომ ფურცელზე დახატული წაშალო და გაასწორო.

უბრალოდ, ის მაღიზიანებს პოლიტიკოსები რომ აკეთებენ განცხადებებს და ნებისმიერი სფეროს სპეციალიტებად რომ გვევლინებიან. ხომ შეიძლება აცალონ სპეციალისტებს მუშაობა?!

მათი დაინტერესებაც გასაგებია, ძალიან ბევრი პოლიტიკოსის უკან სამშენებლო ბიზნესის ინტერესია, მათი ოჯახის წევრები არიან ჩართული ამ ბიზნესში და ა.შ...

— ამ შემთხვევაში სამოქალაქო ინტერესია წინა პლანზე წამოწეული და არა სამშენებლო ბიზნესის — ყველას უნდა კარგ ქალაქში ცხოვრება. გენგეგმაში მხოლოდ ზოგადი პრინციპებია და ამ შემთხვევაში სამშენებლო ბიზნესს არა მგონია, ლობისტები სჭირდებოდეს.

ესაუბრა
მარიამ თოდაძე

◎ წერილი რედაქციას

სტადიონი, კლინიკა, მეტროს ღია ხაზები...



ნათქვამია, რამდენი კაციცაა, აზრიც იმდენიაო. ამდენად, რა გასაკვირია, სარედაქციო ფოსტაც უაღრესად ნაირფერია, ხალხი საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა მხარეს ეხმიანება.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს! უამრავი სიკეთე რომ გაქვთ გაკეთებული, ბატონო ბიძინა, ქვეყანამ კი იცის. მაგრამ, ისიც ხომ ვიცით, რამდენ რამეს ტყუილუბრალოდ ისე გემართლებიან, ფარულად შემოსევასაც კინაღამ თქვენ გაბრალებენ! სიკეთის დაუნახავი ბევრი სხვაგანაცაა, მაგრამ ჩვენში ამდენი უმადურობა, გასაოცარია. ამიტომ, მათი გულის საწინააღმდეგო რამ უნდა შემოგთავაზოთ, რასაც, ვფიქრობ, ჩვენი თანამოქალაქეთა უმეტესობა გაიზიარებს: თქვენი და თქვენი ოჯახის სახელის უკვდავსაყოფად საუცხოო იქნებოდა თემქის რაიონში ივანიშვილის სახელობის სტადიონ „ოლიმპის“ და ხვედელიძის სახელობის სპორტულ-სამედიცინო ცენტრ „ოლიმპის“ აშენება, საამისოდ იქ საუცხოო ბუნებრივი პირობებია, რასაც ურბანისტების დასკვნაც დაამოწმებს. ეს იქნება დიდი საჩუქარი თბილისქალაქისთვის და თქვენ, ვასილ მჟავანაძის შემდეგ, მესამე დავით აღმაშენებელი იქნებით. მე კი ვერ მოვესწრები იმ ოლიმპიურ თამაშებს, რომლებიც თბილისში ოდესღაც აუცილებლად გაიმართება, მაგრამ ამით თქვენ ამ დიდ საქმეს კიდევ ერთი ნაბიჯით მოაახლოებთ. უბანსაც თემქა კი არა, „ოლიმპი“ და მისი დასახლება დაერქმევა!

მავნე მწერებივით ბევრი მოღალატე ჰყავს შემოსეული სამშობლოს. მათი ვინაობა ყველამ იცის, ვინც უნამუსოდ ყიდის ჩვენს სანუკვარ სამშობლოს, ფეხქვეშ თელავს მის სახელს, და მათ მიმართ სამართლიანობა დღესაც არ შემდგარა, რაც ქვეყანას ჰაერივით სჭირდება, რომელსაც ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობა უნდა მივცეთ. ერთად უნდა დავდგეთ ყველანი, რათა მათ უკან მობრუნებაზე ფიქრი არა ჰქონდეთ.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა. როცა პარლამენტი ადამიანის უფლებებს იცავს და მხოლოდ პატიმრებზე ლაპარაკობს, ჩვენ, უბრალო ხალხი, რად არ ვახსენდებით? ვთქვათ, ვინც მიწის ქვეშ მძიმე შრომით ვიყავით დაკავებულები და ახლა 180-ლარიან პენსიას რომ ვიღებთ, ჩვენს უფლებებს პარლამენტარი ბესელია რატომ არ იცავს?

მინდა, გულწრფელი მადლობა ვუთხრა თბილისის მერს კახი კალაძეს, რომელიც დიდად ზრუნავს დედაქალაქზე, რაც ფულზე დახარბებულ ხალხს არ მოსწონს. არა უშავს რა, ადრე ასეთი რამ მეფეებსაც მოსდიოდათ და არც იმათ დაუხევიათ უკან! როცა თბილისს „პატარა პარიზს“ ვეძახით, ქალაქი ნეხვის ბუდედ არ უნდა ვაქციოთ, დიდ-პატარას ბინძური ჰაერით სუნთქვა არ უნდა ვაკადროთ, რუსთაველის ძეგლთან სამწვადე, მეცნიერებათა აკადემიის წინ კი სახინკლე არ უნდა გავხსნათ!

ახლა კი რაც შეეხება თბილისში სამანქანო საცობებს და მგზავრთა მიმოსვლას. XXI საუკუნეში, როცა ქალაქი ტრანსპორტისგან იხრჩობა და თბილისის განვითარების გენერალური გეგმა განიხილება, საცობებისგან განსატვირთავად, ვფიქრობ, საჭიროა შეიქმნას „წითელი ხაზები“ მეტროს ღია ხაზების გასაყვანად შემდეგი მარშრუტებით: დიდუბე-ნატახტარი და სამგორი-ლილო. აღნიშნული ხაზების გასწვრივ კი 100-150 მეტრის სიახლოვეს აიკრძალოს წარმოება-დაწესებულებების აშენება. თანაც ეს მოსახლეობისთვის, ცხადია, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა თავშესაფრის ადგილიც გახდეს. დასახელებული მეტროს ახალი ხაზები კი მგზავრთა ნაკადებს დედაქალაქში შემოუსვლელად აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზის ორივე მიმართულებით გადაადგილების შესაძლებლობას მისცემს.

პატივისცემით,
გურამ მაღრაძე-თმოგველი
ტელ: 597-33-05-70

მემანქანეთა პროტესტი

გუშინ თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეებმა მეტროსადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. ადგილზე მემანქანეთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა 2013“-ის თავმჯდომარე რატი კაპანაძე და ადვოკატი ბექა ბადრიშვილი იმყოფებოდნენ, რომლებმაც მემანქანეთა მოთხოვნების შესახებ განმარტება გააკეთეს.

„გაიზარდა კომუნალური გადასახადები. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით აღმოჩნდა, რომ მეტროპოლიტენის მემანქანეთა 60% 65 წლამდე ვერ აღწევს. მათი სამუშაო პირობები მძიმეა და დამატებით სხვა სამუშაოს შეთავსებას ვერ ახერხებენ. მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის მხრიდან შესრულდა ორი მოთხოვნა დანამატებთან დაკავშირებით, თუმცა ამას ხელფასის მოცულობის მნიშვნელოვანი ცვლილება არ გამოუწვევია. დღეისათვის მემანქანის საშუალო ხელფასი 1 200 ლარს შეადგენს. მემანქანეთა ხელფასი ყოველთვის მაღალანაზღაურებადი იყო, ბოლო წლებში კი ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასის ოდენობასთან არის გათანაბრებული“, — განაცხადა რატი კაპანაძემ.

მისივე თქმით, კანონის თანახმად, მეტროპოლიტენის ადმინისტრაციასა და მათ შორის მოლაპარაკებები 21 დღეში უნდა დასრულდეს. თუ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ შეთანხმება ვერ შედგება, მემანქანეები გაიფიცებიან, რაც მეტროპილიტენის გაჩერებას გულისხმობს.

ქვეყანაში მრავალი შენობაა, რომელიც უსაფრთხოების ნორმებს ვერ აკმაყოფილებს

შენობა-ნაგებობებში უსაფრთხოების სისტემის არარსებობის გამო სულ ახლახან რუსეთში ათეულობით ადამიანი დაიღუპა. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, მსგავსი საფრთხე საქართველოშიც არსებობს, რამდენადაც განსაკუთრებით ახალაშენებულ

ობიექტებში უსაფრთხოების სისტემა სათანადო დონეზე არ მუშაობს. როგორც ჩანს, კემეროვოს ტრაგედიამ გამოაფხიზლა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომელიც უახლოეს პერიოდში დაიწყებს იმ ობიექტების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, სადაც სახანძრო უსაფრთხოების წესები დაცული არ იქნება.

მათივე ინფორმაციით, სამსახურის ზედამხედველობის სამმართველო პერმანენტულად ამოწმებს ქვეყნის მასშტაბით არსებულ შენობა-ნაგებობებს, რათა მოხდეს სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ვითარების შესწავლა. მოწმდება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრებაში არსებული ობიექტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

შარშან სამმართველოს მიერ, ქვეყნის მასშტაბით 6000-მდე შენობა-ნაგებობა შემოწმდა, 200-მდე ობიექტი დაჯარიმდა, ათასობით შენობის მეპატრონეებზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. გამოდის, რომ ქვეყანაში ასეულობით შენობაა, რომელიც უსაფრთხოების ნორმებს ვერ აკმაყოფილებს.

„საზოგადოებას აქვს უფლება, მისივე უსაფრთხოებისთვის, ფლობდეს ინფორმაციას, სად არ არის დაცული სახანძრო უსაფრთხოების წესები. შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უახლოეს პერიოდში დაიწყებს იმ ობიექტების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვებას, სადაც არ იქნება დაცული სახანძრო უსაფრთხოების წესები. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და გამოვალთ ინიციატივით, რომ მნიშვნელოვნად გამკაცრდეს სანქციები უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შენობებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას. დროულად უნდა შესრულდეს ყველა რეკომენდაცია, რათა არ შევუქმნათ საფრთხე ადამიანების სიცოცხლეს“, — აცხადებენ სიტუაციების მართვის სამსახურში.

სულ სხვაგვარ ინფორმაციას ავრცელებენ სამშენებლო დარგის სპეციალისტები. მათი მტკიცებით, არათუ მშენებლობის პროცესში, შემდეგშიც კი არაფერი კონტროლდება. სამშენებლო სფეროს ექსპერტი, **შოთა გუჯაბიძე** ამბობს, რომ პირველ რიგში, ექსპლუატაციის წესები მკაცრად უნდა განისაზღვროს.

„სიტუაცია არის მრავალნაირი და საფრთხე ყველგან მოსალოდნელია, სადაც კი კონტროლის სისტემა არ არსებობს. სავაჭრო ცენტრებისა და გასართობი კომპლექსების შემთხვევაში საფრთხე შეიძლება შეიქმნას ევაკუაციის გეგმის არასწორი შედგენის ან არარსებობის გამო. სხვა თუ არაფერი, მასობრივი პანიკის მიზეზით მოხდეს ჭყლეტა ან დაკვამლიანების გამო ვერ მოხერხდეს გზის გაგნება, რაც კიბის უჯრედებსა და ლიფტებში ხშირად ხდება.

ახლა ყველანაირი მონიტორინგი და ვალდებულების კონტროლი გაუქმებულია. დიდ უსიამოვნებებს ავიცილებთ თავიდან, თუკი უსაფრთხოების სტანდარტი იქნება დაცული. პირველ რიგში, ექსპლუატაციის წესები უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ შენობისათვის. წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ხდებოდეს“, — აცხადებს შოთა გუჯაბიძე.

ბექა დანელია

სარეცხი თოკზე, ანუ ნუ შეგაშინებთ ჯარიმა

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში სარეცხის გაფენის გამო არც მიმდინარე წელს, არც გასულ წელს და არც წინა წლებში მერიის ზედამხვედველობის საქალაქო სამსახურს არავინ დაუჯარიმებია.

უკანასკნელ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ზონაში შენობების ფასადზე სარეცხის გაფენისთვის ჯარიმაა დაწესებული, არ არის ახალი ამბავი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ამ ჯარიმის შესახებ ჩანაწერი ჯერ კიდევ 2007 წლის 8 მაისს გაჩნდა. კოდექსის 150-ე პრიმა მუხლში, რომელიც თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებურ შეცვლას ეხება, ვკითხულობთ, რომ **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში შენობების ფასადებზე სავენტილაციო სისტემის, ბანკომატის, გისოსების, ჯიხურების, დახლების ან სხვა მსუბუქი კონსტრუქციების და, მათ შორის, სარეცხის საშრობის განთავსება გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.**

გიორგი ბაგრატიონი, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ სამსახურს წლების განმავლობაში ჯარიმა სარეცხის საშრობის გამო არავისთვის გამოუწერია:

„პრაქტიკასაც რომ გადავხედოთ, გაჭიმული თოკის გამო ადამიანი თავს არ დაგაჯარიმებინებს. მიხვალ, გააფრთხილებ, რომ ჩამოხსნას თოკი. ჩამოხსნის, მაგრამ მეორე დღეს ისევ გააკეთებს. ჩვენ ყოველდღე ხომ ვერ შევამოწმებთ, ვინ გაჭიმავს თოკს და ვინ არა?“

მერიის ზედამხედველობის სამსახურისავე განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის ზონად მიიჩნევა რუსთაველის გამზირის, თავისუფლების მოედნის, აღმაშენებლის გამზირის, მთაწმინდისა და თბილისის ძველი უბნების ტერიტორია.

რამდენიმე დღის წინათ სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას სარეცხის საშრობის გამო არსებულ სანქციებზე სოციალურ ქსელში მოქალაქეების პროტესტი მოჰყვა. მათი პროტესტის მიზეზი, პირველ რიგში, ძველი თბილისის ტერიტორიაზე არსებული აკრძალვა გახდა. მოქალაქეების აზრით, თოკებზე გაფენილი სარეცხი ძველი თბილისის სახლებისა და ეზოების ერთ-ერთი მთავარი ხიბლია.

ნინო თარხნიშვილი

,,ავტომატიან კაცებს“



ახირებული არჩილ იოსელიანის სიბრიყვის ფრქვევის პასუხად

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 20 მარტის ნომერში დაიბეჭდა ვინმე არჩილ იოსელიანის სტატია სათაურით – „რუსეთის ჯაშუშებს გაზეთის ფურცლები არ უნდა ეთმობოდეთ“.

სიტყვა „ვინმეს“ იმიტომ ვხმარობ, რომ არც ამ პირის გვარ-სახელი, პარტიის თავმჯდომარეობა, საერთოდ ასეთი პარტიის არსებობა, ყოფილი პარლამენტარობა, მით უმეტეს ბერლინში ლექციების კითხვა არაფერს მეუბნება. ისე კი, თანავუგრძნობ მის ყოფილ მსმენელებს, ვინაიდან წერილში გამჟღავნებული „ცოდნა“ ისტორიისა, არავითარ პარამეტრებში არ ჯდება და ტოვებს უდავოდ არასახარბიელო შთაბეჭდილებას. ასეთისთვის პასუხის გაცემაც არ ღირს, ვინაიდან მისი მიზანი სწორედ ისაა, რომ „ჯაშუშებმა“ ვუპასუხოთ და ამით გაზეთის მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იოსელიანის პიროვნებას.

არ დაგამადლით! თუმცა სულაც არ მჯერა, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, შეიგნოთ, მაგრამ მაინც. თქვენ თუ არა, სხვები ხომ გაიგებენ?!

თავიდანვე გეტყვით, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჰქონდა ხანმოკლე აღმასვლები და მათ შორის საბჭოთა პერიოდი უდავოდ გამორჩეულია. პირადად მე, მეამაყება, რომ შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები საბჭოეთის არსებობის ჟამს გავატარე, რომელმაც ჩემში და ჩემს კოლეგებში, თქვენ რომ „ჯაშუშებად“ მოიხსენიებთ, ჩამოაყალიბა პროფესიონალიზმი, საქმისადმი გულწრფელი, პასუხისმგებლური დამოკიდებულება, რაც უყურადღებოდ არ დარჩენილა ეროვნული ხელისუფლების დროს.

ახალარჩეული უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით დავინიშნე კიდევაც საკანონმდებლო ორგანოს სამდივნოს უფროსად. სამწუხაროდ, საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით მოსულ ხელისუფლებას „ავტომატიანმა კაცებმა“ წყალი შეუყენეს და ძალისმიერი გზით დაამხეს, ხოლო პრეზიდენტი აიძულეს, სამშობლოდან წასულიყო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში ჟურნალისტი სოსო ჭუმბურიძე ავადსახსენებელ პერიოდს იხსენებს და იმ „ავტომატიან კაცზეც“ მიანიშნებს, რომელმაც ლამის სამსახურში არ შეუშვა. ამ „კაცში“ მან თქვენ ამოგიკითხათ. ასეთმა „ავტომატიანმა კაცებმა“, შესაძლოა, მათ შორის თქვენც, 1992 წლის 6 იანვარს უზენაესი საბჭოს შენობაში, სამდივნოს უფროსი არ შემიშვეს და მხოლოდ თქვენი მოგვარე იოსელიანის, კიტოვანის, სიგუას ერთობლივი განკარგულებით დამრთეს იქ შესვლის ნება.

„ავტომატიანი კაცების“ ბოროტმა ხელმა ქართული, საბჭოთა არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი – მთავრობის სახლი ნანგრევებად აქცია, ცეცხლს მისცა თბილისის ცენტრი. ჩვენ კი – „ჯაშუშებმა“, დავიწყეთ დანგრეულ-გაპარტახებულის აღდგენა და თავდადებული შრომით შევძელით, 1992 წლის ბოლომდე, იქ, პარლამენტის კომიტეტების განთავსება.

„ავტომატიანი კაცები“ დაბეჯითებით მოითხოვდნენ უნიკალური შენობის დანგრევას და როდესაც არ გამოუვიდათ, მისთვის პროფილის შეცვლას (ბიზნეს ცენტრისთვის გადაცემას). არც ეს გამოუვიდათ, ვინაიდან ჩვენ, „ჯაშუშები“, სალ კლდესავით დავდექით და დროებით ხელისუფლებას შევანარჩუნებინეთ შენობა საქართველოს პარლამენტისთვის.

თქვენ – „ავტომატიანები“, ანგრევდით და ამისთვის არვის დაუსჯიხართ – სამწუხაროდ. ჩვენ, „ჯაშუშები“, ვაღდგენდით და ამისთვის მოითხოვთ ჩვენს დასჯას –გერმანიაში „ნამოღვაწარი“, ნაპარლამენტარი, „სოციალური სამართლიანობის“ პარტიის თავმჯდომარე?! ამას, მხოლოდ სულიერად გაპარტახებულ ქვეყანაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი – თქვენი მსგავსი აზროვნების ადამიანების გამო.

რაც შეეხება სტალინს. მიუხედავად თქვენი და თქვენნაირი დაუნახავი ადამიანებისა, სტალინი იყო, არის და იქნება მსოფლიო მოვლენა, რომელსაც ფინიების წკავწკავი ვერაფერს დააკლებს. მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოსთვის – გადააქცია რა ღარიბი, ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა აგრარულ-სამრეწველო, მოწინავე ქვეყნად. ქართველი სპეციალისტების, მეცნიერების, სპორტსმენების, ხელოვნების მუშაკების სახელები გასცდა საქართველოს ფარგლებს, ისე, როგორც აქ წარმოებული პროდუქცია.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვი ერთის შესახებ – ეროვნული განძის, მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილის, დაბრუნებაზე. თქვენ და თქვენნაირებს – ისტორიის არმცოდნეებს სჯერათ, რომ ეს განძი ექვთიმე თაყაიშვილმა ჩამოიტანა. არვინ სვამს კითხვას, საფრანგეთის საკუთრებაში გადასულ ქართულ საგანძურს, ვინ გამოატანდა ექვთიმე თაყაიშვილს?!

რომ არა სტალინის თხოვნა საფრანგეთის პრეზიდენტის დეგოლისადმი, ეს საგანძური დღესაც იქ იქნებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო და ერთობ სასარგებლო გამოკვლევა ჩაატარა გრიგოლ ონიანმა, ცნობილმა „ჯაშუშმა“ და ვრცელი წერილები გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“. თქვენ, როგორც „ისტორიკოსს“, გირჩევთ წაიკითხოთ, გამოგადგებათ თვალის ასახელად. ასევე გირჩევთ ვალერი კვარაცხელიას, სახელგანთქმული „ჯაშუშის“ უაღრესად საინტერესო ახალი წიგნის „მანიფესტი სტალინზე“ წაკითხვას.

ახლა რაც შეეხება „სეპარატისტ“ ასლან აბაშიძეს – კაცს, რომელიც წინ აღუდგა თქვენს მსგავს „ავტომატიანებს“ და არ შეუშვა აჭარაში. რომ არა ასლან აბაშიძე, აჭარასაც აფხაზეთის გზას გაუყენებდით – ომი მაქვს მხედველობაში, რომელშიც უდავოდ ჩაერთვებოდა მეზობელი თურქეთი.

ასლან აბაშიძის წყალობით ბათუმიდან გატანილ იქნა რუსული სამხედრო ბაზის შენობა-ნაგებობები, საწყობები, სხვადასხვა დანიშნულების შეუხედავი სახლები; აშენდა ხიდები, გვირაბები, საბორნე გადასასვლელი, სარფის საბაჟოს თანამედროვე შენობა, საზღვაო კატარღების სამშენებლო ქარხანა, სხვა ქარხნები, სამედიცინო დანიშნულების შენობა-ნაგებობები. აჭარის ავტონომია გაწევრდა ევროპის რეგიონთა ასამბლეაში. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

აბაშიძე უდავოდ იყო მშენებელი და არა მნგრეველი. ასეთს მხარში უნდა დაუდგეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი. სწორედ ამან მიიზიდა ქართული ინტელიგენცია აჭარისკენ.

თურქეთთან „შეერთების“ მსურველი „სეპარატისტი“ ასლან აბაშიძე ძალ-ღონეს არ იშურებდა პარტია „აღორძინების“ საქართველოს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლისთვის. „სეპარატისტი“ აბაშიძის წყალობით აჭარაში ქართველი თავაწეული, წელში გამართული დადიოდა და არა ისე, როგორც დღეს – ლამის თურქეთად ქცეულ, ვითომ საქართველოს ავტონომიაში.

1991 წლის დეკემბრიდან – ყველა საბჭოთა რესპუბლიკისთვის დამოუკიდებლობის ბოძებიდან, საკმაო დრო გავიდა. „უპატრონოდ“ დარჩენილებმა, თანაც პოლიტიკის შუაგულ ოკეანეში ცურვის უცოდინრებმა, რას არ მიმართეს და რის ვაი-ვაგლახით თავს უშველეს. საქართველომ კი „ავტომატიანი კაცების“ შავბნელი ქმედებით, ლეგიტიმური ხელისუფლებაც დაამხო და რეგიონებსაც შეუტია. სამეგრელო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი ამის უმძიმესი მაგალითია – გამოუსწორებელი, აუხსნელი. და როდესაც ცენტრმა ავტონომიები ვერ დაიმორჩილა, ოკეანის გადაღმელებს მიმართა დახმარებისთვის.

რა მოუტანა ამ დახმარებამ ქვეყანას?

საშინაო ომი, ტერიტორიების დაკარგვა, მსხვერპლი შინ და გარეთ – საერთაშორისო მისიებში მონაწილეობისას, ეკონომიკურ-საფინანსო გაუგებრობა, უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, ლუკმაპურის საძებნად მოსახლეობის უცხოეთში გადახვეწა, სხვა უარყოფითი მომენტები. არსად ჩანს დაპირებული გაწევრება ნატოში, შორეულია ევროკავშირში შესვლის პერსპექტივაც და ყველაფერი ეს უაღრესად მძიმე დემოგრაფიული სურათის ფონზე.

ყოველივე აღნიშნული მაფიქრებინებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა – საქმიანი, პრაგმატული, აუცილებელია, თუნდაც ერის მშვიდი ცხოვრებისთვის; ეკონომიკის ფეხზე დაყენებისთვის; დემოგრაფიული ვითარების გამოსწორებისთვის.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთთან ურთიერთობის მაგალითები მალაპარაკებს ამას, ისე, როგორც ფინეთის. და კიდევ ის – ჩვენი მოსახლეობის ერთი მესამედი რომ რუსეთში ცხოვრობს და ყოველთვიურად მილიონობით დოლარს უგზავნის შინ დარჩენილ ნათესავებს.

ანტირუსული გამოსვლებით და განცხადებებით რუსეთს ვერაფერს დავაკლებთ, მაგრამ ჩვენს თავს უეჭველად, ვაიძულებთ რუსეთს ეკონომიკური კავშირებიც გაგვიწყვიტოს და იქ მცხოვრები ქართველობაც გამოგვიყაროს. მაშინ კი უკვე გვიანი იქნება. დროული გამოფხიზლება გვმართებს ყველას, მათ შორის, ყოფილ „ავტომატიან კაცებსაც“.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

P. S. „ავტომატიანი კაცის“ „ბრძნული აზრების“ ფრქვევას საზღვარი არა აქვს. მისი შხამიანი ისარი ყველაფერს მისწვდა – ქართულ მწერლობას, ენას, მეცნიერებას, პატრიოტიზმს, ბუნებასაც კი: „იმოგზაურეთ ინდოეთში, ევროპაში, ამერიკასა და დედამიწის სხვა მხარეში, დარწმუნდებით იმაში, რომ სხვა ძვეყნებს ჩვენზე უკეთესი ბუნებაც გააჩნია...“

„ძართველ მწერლებს და მეცნიერებს სერიოზულად არვინ ელაპარაკება. ეს დადგენილი სინამდვილეა.“.

და ყოველივე აღნიშნული – ერის, მისი ისტორიის, კულტურის დამამცირებელი გამოხდომა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 30 მარტის ნომერში. იმ გაზეთის, რომელსაც ლანძღავს და დაახურვინებდა კიდევაც გასული საუკუნის 30-იანი წლები რომ იყოს. აღარაფერს ვამბობ ჩვენს თავზე, ანუ „ჯაშუშებზე“ – ჩვენ ხომ დახვრეტას არ აგვაცილებდა „ტოლერანტი“, „დემოკრატი“, „დიდი მეცნიერი“, გერმანიაში ნაცხოვრები „ავტომატიანი კაცი“.

ამ შემთხვევის შეფასება ლაფდასხმულ საზოგადოებას გაუჭირდება. მას სხვა შეფასება – მეტადრე სამედიცინო, ესაჭიროება.

ჰ. ჭ.

მესტიაში ადგილობრივებმა აქციები დროებით შეწყვიტეს

მესტიაში, ორდღიანი აქციის დროებით შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ადგილობრივებმა შს მინისტრის მოადგილესთან კახაბერ საბანაძესთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს. ამ დროისათვის მესტიაში გზა გახსნილია. მოსახლეობამ სამშენებლო კომპანიის კუთვნილ სატვირთო მანქანებს ჰესის ტერიტორიაზე შესვლის საშუალება მისცა. თუმცა იმ პირობით, რომ მანქანები ადგილზე მასალას დატოვებდნენ და ტერიტორიიდან პერსონალს გაიყვანენ.

აქციის მონაწილეების მოთხოვნები უცვლელია – ისინი სამუშაოების შეჩერებას ითხოვენ და დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნას ელოდებიან.

„მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის ინტერესი, ასევე დაცული იქნება ინვესტორის ინტერესი. მოლაპარაკება გაგრძელდება, შედეგი დადგება კონსენსუსის საფუძველზე. სამუშაოების გაგრძელების მიმართულებით, რა თქმა უნდა, ერთად მიიღებენ კომპანია და მოსახლეობა გადაწყვეტილებას, თუმცა სამუშაოები აუცილებლად გაგრძელდება,“ – განაცხადა შს მინისტრის მოადგილე კახაბერ საბანაძემ.

ბათუმის საზღვაო ნავსადგური პარალიზებულია

ბათუმის საზღვაო ნავსადგურის თანამშრომლები რეორგანიზაციას აპროტესტებენ. 12 მათგანი შიმშილობს, ხოლო ნავსადგური პარალიზებულია.

თანამშრომლების განცხადებით, პორტის ყაზახური კომპანიის ხელმძღვანელობა თანამშრომელთა დიდი რაოდენობით გათავისუფლებას გეგმავს. ისინი გენერალურ დირექტორთან მურად ჯუმადილოევთან შეხვედრას ითხოვენ.

„ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში სდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც იბრძვის იგი“...

კონსტანტინე გამსახურდიას ამ სიტყვებს თუ დავუჯერებთ (რატომ არ უნდა დავუჯეროთ?!), ახლა უსასტიკესად დასჯილი ვარ, რადგან ბატონი არჩილ იოსელიანი, არ ვიცი, რით, მაგრამ რუსეთთან მაკავშირებს(?!).

ყველანაირ დასჯას წარმოვიდგენდი, ამის გარდა.

1978 წლის 14 აპრილს რუსთაველის გამზირზე რომ ვიდექი, ხოლო ორი დღით ადრე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კრებაზე რომ პროტესტს გამოვთქვამდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ორმოცი წლის შემდეგ ვინმე რუსეთთან რაიმეთი დამაკავშირებდა...

* * *

მირეკავენ.

მწერენ.

მეკითხებიან: ვინ არის ეს არჩილ იოსელიანი? აქამდე სად იყო? მიშას დროს რას აკეთებდა?

ჩემი პასუხი: „პარტია სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარე.“

ეს პასუხი, სამწუხაროდ, არაფერს ეუბნებათ.

იციან, რომ ერთ სულ მოსახლეზე პარტიების რაოდენობით, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ(?!).

თბილისში კენჭი რომ ისროლო, პარტიის თავმჯდომარეს მოხვდება.

წევრები ამისგან დაზღვეული არიან, რადგან... წევრები არ ჰყავთ.

სხვა რა ვუპასუხო?!

მიშას დროს რას აკეთებდაო?

არ ვიცი.

ჯაბა იოსელიანის დროს რას აკეთებდა, უკვე დავწერე: გამომცემლობა „სამშობლოს“ შესასვლელში ავტომატით იდგა და ჟურნალისტებს „ახარისხებდა“ — ვისი შეშვება შეიძლებოდა, ვისი — არა.

* * *

თვითონაც ძალიან მიკვირს, ამდენ ხანს სად იყო და საიდან გამოხტა?!

არადა, ჩემს სრულიად უწყინარ პასუხს უწოდებს გამოხტომას(?!).

შარო, საიდან მოდიხარო?!

მე შაირი არ მინდოდაო...

მისმა პირველმა გამოხტომამ, უნებურად, მუხრან მაჭავარიანის კარგი ლექსი გამახსენა, ჩემთვის სრულიად მიუღებელ ბელადს რომ ეძღვნება:

„აქ რომ ბიჭი თამაშობდა, ნეტავ ახლა სად არი?“

პასუხის პასუხმა კი იმდენად მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ ახლა უკვე ცნობილი ანეკდოტი და ფილმი მომაგონდა: „მაიტა ნასოსი!“

აბსოლუტურად ვერაფერი შეისმინა!

* * *

პასუხის პასუხი რომ ვრცელზე ვრცელი გამოსვლოდა, თითქმის ნახევარი ქართული ანბანისა და სახელმწიფოს წარმოშობის „კვლევას“ დაუთმო.

რა შუაში იყო, მაგრამ მაინც.

გაგვანათლა უბირი ხალხი?!

მე, უბირი, კიდევ ავიტანდი ამ აუტანელ „შტუდირებას“, მაგრამ გულწრფელად შემეცოდა ჩემსავით „უსასტიკესად დასჯილი“ როსტომ ჩხეიძე — პავლე ინგოროყვას ლამის შვილობილი, მასზე დიდებული წიგნის ავტორი, მისი ტომეულების გამომცემელი, რომელსაც „პარტია სოციალური სამართლიანობის კავშირის“ თავმჯდომარე ქართული ანბანისა და სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიას ასწავლის(?!).

და რა აუტანელია, როცა ამ ყოველივეს გასწავლის კაცი, რომელმაც ისიც კი არ იცის, რომ აღსაშფოთებელი კი არა, აღმაშფოთებელი უნდა დაწეროს(?!).

მართლაც, რა აღმაშფოთებელია!

* * *

კიდევ ერთი გასაოცარი გარემოება: ბატონ იოსელიანს ჩვენსავით (რ. ჩხეიძე, ი. ჭუმბურიძე) არ უყვარს სტალინი, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, სიმპათიით მოიხსენიებს... ლენინს, ვინც, თურმე, „აღიარებულია კაცობრიობის ისტორიაში, როგორც სახელმწიფოს ყველაზე დიდი მმართველი“.

ვინ აღიარებს, ამას არა აქვს მნიშვნელობა.

მთავარია, ბატონი იოსელიანი ამ აზრს უკრიტიკოდ იღებს. მეტიც, „არგუმენტად“ იყენებს!

* * *

სტალინი, თურმე, „ყელგამოწეული ეხვეწებოდა ლენინს, რათა საქართველოს დასაპყრობად წითელი არმიის ურდოები დაეძრათ.“

თურმე, მეც ზუსტად ასევე „ყელგამოწეული“ ვეხვეწები კახა კალაძეს, „რათა ფინანსები გაიღოს საკუთარი გაზეთის დაარსებისთვის.“

ვისი საკუთარი გაზეთი იქნება „თბილისი?“

ეს გაუგებარია.

ამდენსაც ნუ მოვთხოვთ ვინმე იოსელიანს.

მან ქართული ანბანისა და სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია იცის, თვითონ ენის (წერა-კითხვის) ცოდნა კი ყველას ხომ არ მოეთხოვება?!

* * *

მიკერძოებული ავტორი ცენზურას ითხოვს!

ძარღვული პრესა რომ მონოდების სიმალლეზე არ დგას, იოლად გასაგებობიერებელია. მეტიც, იგი ემსახურება ადამიანებში ყოველგვარი ნეგატივის კალვიგებას, ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების წახალისებას, ტერორიზმის ნაკვეზას და ანტიფრთხელი იდეების დინერგას.

ერთი შემდეგი მათგან გამოირჩეოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, მხოლოდ ერთი შენიდვით. ეს გაზეთიც ემსახურება რუსეთშეებსა და ანტიქართული ინტერესების შემცველ მოსაზრებებს.

ამ ათეული თვემდან გადახვევად არ ფნდა ჩამითვალოს, თუ ერთ მნიშვნელოვან მოელენას შევეხები, რაც სტატიაში გამოთქმული მოსაზრებების პასუხის გაცნობიერებაში დაგეეხმარება.

როგორც დადგენილია, ქართველი ხალხის, მისი წინაპრების არსებობა მოთვლის სამი ათას წელს. რაც უნდა ეეცადოთ და ჩვენი ერის ასაკოვნება გაგზარდოთ, არაფერი გამოგვივიდა.

ქართველი ერის წინაპრები სამხრეთ კავკასიაში მოვიდნენ სამი ათასი წლის წინ. სიიდან მოვიდნენ, ჯერ არავის დაუდგენია. ზოგადად თუ ვიტყვით — სამხრეთიდან. საერთოდ, ინდო-ევროპელი ხალხები, სემიტები ადრეულ საუკუნეებში სახლობდნენ ინდოეთის ჩრდილოეთით — ეყრნთან დღეევანდელი ავღანეთის, ირანის, ერაყის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიები. უნდა ვიგარიდოთო, რომ ქართველთა ეენველები წინაპრები ამ ხალხებთან ერთად თანაცხოვრობდნენ, ამიტომ გასაკვირი არ არის ის გარემობა, რომ მათ ამ თანაცხოვრების პირობებში ერთმანეთისაგან „ისესხეს“ ლექსიკის გარკვეული ნაწილი.

ზოგი ფსევდო ბჭონშაავს რა ერთნაირ სიტყვებს ქართულსა და სხვა ენებში, უმალვე ნამოიძახებს: ყველა ენა ქართული ენიდან წარმოდგებან! ამ ლოგიკით ყველა ხალხს შეუძლია თქვას, რასაც ზოგი ჩვენი გაუნათლებელი თანამემამულე სისტემურად იცხადებს.

ტრიდაკეოლელად მიღებულია, რომ ქართული ასოები შემოლებულია მეოთხე საუკუნეში. შეიძლება ეს თარიღი ზუსტი არ იყოს, მაგრამ ვამტკიცოთ ის, რომ ქართული დამწერლობა არსებობდა გამეცნევარებამდე, მორტვიდ რომ ვთქვათ, არსაერთოზელია.

ქართული ენა, დამწერლობა, კულტურა, რასაკვირველია, უნდა განვიხილოთ სხვა, თანამეცხოვრეს ხალხების ისტორიასთან ერთად. მათგან მონსეეტერილად განხილავ, რა თქმა უნდა, პროვინციალიზმის უკიდურესი გამოვლენა.

ბევრმა არ იცის, რომ ქართულ ენას ზეზაგეპულს უნოდებენ, ისე როგორც, მაგალითად, რუსულს, ფრანგულს და სხვებს.

ერთი რუსი ენათმეცნიერი დანანებით მეუბნებოდა — რუსულ ენაში ათასი სიტყვა მაინც სუფთა რუსული იყოს, გავიხარეშდით.

ქართულ ენაში ძირითადად შემოგრილია სპარსული, არაბული და თურქული სიტყვები. ამ სინამდვილეს ვერრაფ გავექცევთო.

ინსივიოს, რომ ზოგმა პირმა ავტორიტეტი მოიპოვოს ბუღალტრული ადამიანებში, მოიწეენითით სიამაყით ალაბდეს: ჩვენ განსაკუთრებული ერი ვართ, ენაც განსაკუთრებული გვაქვს, მინაც ხომ ღმერთმებმ გვაჩუქესო.

ეს უკვე აღსაშფოთებელია!

ქართველი ცრუმეცნიერები და ცრუმწერლები გულუბრყვილო ხალხს შთაგონებენ, რომ საქართველელი ყველამ კარგად იცის, ხოლო ჩვენი მწერლობა უთარველესია მსოფლიოში, ჩვენმა სახელოვანმა სტალინმა მსოფლიო განცვიფრა. ქაჯქიაძეზე რომ არაფერი ვთქვათ, ის ხომ კაცობრიობის პრეზიდენტად გამოგვეგზავნა.

ამიტომაც არის, ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს სერიოზულად არავინ ელაპარაკება. ეს დადგენილი სანამდვილეა.

რუსებმა კარგად იციან, რომ კიევის რუსეთია, მათი ისტორიაც არის, მაგრამ რუსული სახელმწიფოს თარიღად მიინეგენ 1383 წელს (თუ არ ვეცდები), როდესაც დიმიტრი დონსკელმა დონზე მონღოლთა და სხვა მეზობა დაამარცხა.

აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ ქართველს — როდის დაარსდა ქართული სახელმწიფო — გიპასუხებს — უხსოვარი დროიდან.

რაც შეეხება რუსეთის სოსოიას (არ აგერიოთ სოსოიას შენ) რომ ეფარება ზვიადის სახელს. ზვიადისტებში მე სრულიად არ ვგულისხმობ ბატონ ზვიადს. ეს ის ხალხია, რომელმაც დადაუბეს ზვიადი. ამას კარგად აღნიშიერენ მისი შელილი და ახლო ნათესავები. როდესაც რუსეთის სოსოია და სამჭოთა პერიოდის პოლიტბიუტერების მაგინებელი ჩხეიძე ზვიადს დაიცავს, — ეს მისი სახელის შეურაცხყოფაც არის. მე თუ ზვიადს ვაკრიტიკებ, არალოგიკურია. ეს ნობილია, გამსახურდია, შეიძლება ითქვას, დაფიანებელი მბარი იყო, სტალინის ბერია და რუსეთშეებმა, რაც ჩემი მრწამსის თანხვდენილია. გამოდის, მე, საკუთარი მრწამსის წინააღმდეგ მივდივარ. პირადად მე გამსახურდიასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა.

რაც შეეხება იმ „ფაქტს“, თითქოს მე რუსეთის სოსოიას ავტომატით მიეჭედა, მტკნარი სიცრუეა. ავტომატი ხელში არასოდეს მჭერია. მაგრამ, როდესაც სამშობლოს რუეეთშეების, ჯაშეშების საცვარელი რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტს დაეშეერა, დაჭარეზელი ტანსაცმელი სროლა ვთქვა ნავლი და ავტომატი ხელში სამშობლოს ვიცავდი.

ოთხი წარმოშობის მიზეზების განხილვას აქ არ შეეედგენი, — ეს სხვა დროისთვის გადავდოთ.

ვფიქრობ, ზემოალნშნული ჭეშმარიტებანი მეორე რეტმარკვნით ცხადდაგი. ამით, იურისტები რომ იტყვიან, საქმე დახურულია.

— რედაქციამ ეატანატორფისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, როცა დეუშვი დისკუსია რუსეთის ჯაშეშებთან. გეეგონარი ამბავი, დისკუსია დეუშვი საბრალოვლის ინტერესების უკეელებულოდ პირებთან. მათ სადაც ჯერ არს, იქ მიბრძანება ეკეთვნნთ და არა გაზეთის ფურცლების დათმობა.

გაზეთი არასამართლიანად მექცევა, როდესაც ჩემს წინააღმდეგ ეროგროოულად ორი ნაფიცანი გამოაქვეყნა, ამიტომ ე გაზეთის მესეეერნი ვალდებულნი არიან, „ეჩეი პასუხი ჯაშეშებს“ (აქ სრულიად არ ვგულისხმობ რუსეთის სოსოიას და როსტომ ჩხეიძეს, ისინი სხვა მხრივ არიან დასაბუნთებელნი) გამოაქვეყნონ.

— ძალიან ნეკოოდეა, ნეტარიაა ბოლელნეშნი სრულიად ჩაუედადეთ დანეკინი. თუმცა, მისი შვილებიის წინაშე ქედს ვიხრი. ყველაფერს რომ თავი დავაენებთ, ბოლოსიტყვაობის უფლება ავტორებს არ ენდა მისცეს რედაქტორებს.

შსს-ს განცხადება

„ბახალას“ ახალი ბრალი

მსახიობ გიორგი გიორგანაშვილისთვის ახალი ბრალის წარდგენის შესახებ შსს-ში ბრიფინგი გაიმართა. განცხადება სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ გააკეთა:

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს გაცნობოთ, რომ მიმდინარე წლის 2 აპრილს გიორგი გიორგანაშვილს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანის ფაქტზე.

გიორგი გიორგანაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, 2017 წლის იანვარში ირაკლი ქორიძე შეუთანხმდა თავის ნაცნობებს - გიორგი გიორგანაშვილსა და ჯაბა ხულორდავას, რომ მათ უცხოეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოეტანათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება. მათ შეიმუშავეს აღნიშნული დანაშაულის განხორციელების გეგმა და გაინაწილეს როლები.

შეთანხმებისამებრ, გიორგი გიორგანაშვილი ირაკლი ქორიძის დაფინანსებით გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც იმყოფებოდა 2017 წლის 18 იანვრიდან 2017 წლის 24 იანვრის ჩათვლით. ამ პერიოდში მან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 900-მდე აბი, სხვადასხვა ზომის ნატეხები და ფხვნილი. გიორგი გიორგანაშვილი 2017 წლის 24 იანვარს ქალაქ ტრაპიზონში ფარულად შეხვდა ჯაბა ხულორდავას და საქართველოში უკანონოდ შემოტანის მიზნით გადასცა მის მიერ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება.

2017 წლის 25 იანვარს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ჩაატარეს ჯაბა ხულორდავას პირადი და ავტომობილის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს გიორგი გიორგანაშვილის მიერ მისთვის გადაცემული ნარკოტიკული საშუალებები. გიორგი გიორგანაშვილისთვის ორგანიზებულ ნარკოდანაშაულში მონაწილეობისთვის ბრალის წარდგენის საფუძველს იძლევა შემდეგი მტკიცებულებები: ათამდე მოწმის ჩვენება, ასევე, ირაკლი ქორიძის, გიორგი გიორგანაშვილის და ჯაბა ხულორდავას ტელეფონის ნომრებზე შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ამონაწერის ანალიზი, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების საბანკო ანგარიშების ამონაწერები, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა და სხვა სახის დასაბუთებული მტკიცებულებები.

ამ დროისთვის ჯაბა ხულორდავა მსჯავრდებულია და სასჯელის სახით განსაზღვრული აქვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გიორგი გიორგანაშვილს, რომელიც, ასევე, გასამართლებულია სხვა ნარკოდანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ განსაზღვრული აქვს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, წარედგინა ახალი ბრალი. დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორს კი, წარსულში მსჯავრდებულ ირაკლი ქორიძეს პატიმრობა უკვე შეეფარდა. ფაქტზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით“, — განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

„ბოდიში აქვს ყველას მოსახდელი, ვინც ამტკიცებდა, რომ ქორიძეს და „ბახალას“ ნარკოტიკი ჩაუდეს“...

„ბოდიში აქვს ყველა იმ ადამიანს მოსახდელი, ვინც ამტკიცებდა, რომ ქორიძეს და „ბახალას“ ნარკოტიკი ჩაუდეს. დაუმსახურებლად სასამართლოს ქვები და პოლიციას ტალახი ესროლეს,“ — ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვანო ზარდიაშვილმა გააკეთა.

„რეიტინგულ ტელეგადაცემებში სახელმწიფო უწყებებს ცილს სწამებდნენ. შსს-ს გამოძიებით დადგინდა, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული ნარკოდანაშაულებრივი ჯგუფი, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი ოდენობა, დაახლოებით 10 000 ადამიანის მოსაწამლი ნარკოტიკი შემოჰქონდათ საქართველოში. სამწუხაროა, ასეთი ადამიანის შეწყალება მოხდა პრეზიდენტ მარგველაშვილის მხრიდან და საზოგადოება ელოდება პასუხს ამ საკითხზე, ეს იყო ერთეული შეცდომა, თუ მსგავს შეცდომებს კიდევ უნდა ველოდეთ შეწყალების საკითხებში.

ქართველ საზოგადოებაში სახელმწიფოში ნარკოტიკების გამსაღებლები ყოველთვის იქნებიან ე.წ. ბარიგებად მოხსენიებული და მათ მიმართ უმკაცრესი სასჯელები მზად იქნება“ განაცხადა ზარდიაშვილმა.

ღვარცოფული მდინარეები კახეთში მოსახლეობას საფრთხეს უქმნის!

ადგილობრივი მცხოვრებნი ლაგოდეხსა და გურჯაანში ხევების დროულად გაწმენდას მოითხოვენ. მოსალოდნელ საფრთხეებზე ინფორმაციას ფლობენ მერიაშიც. რა კეთდება იმისათვის, რომ სტიქიამ მოსახლეობას ნაკლები ზიანი მიაყენოს და რას ამბობენ გარემოსდამცველები?

ღვარცოფული მდინარეები კახეთის რეგიონის მოსახლეობას გაზაფხულსა და შემოდგომაზე თითქმის ყოველ წელს უქმნის პრობლემებს. უხვი ნალექების შედეგად მდინარეები მუდმივად დიდდება და მიმდებარე ტერიტორიებს ტბორავს. ხშირად მოსავალი ნადგურდება, შინაური ფრინველი და ცხოველიც იხოცება. ღვარცოფულ მდინარედ ითვლება ლაგოდეხის ხევი. მას პირველი კატეგორია აქვს მინიჭებული, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემა დროულ მოგვარებას საჭიროებს. ლაგოდეხში მცხოვრები ლალი ევდუშენკო ამბობს, რომ თუ მდინარე ლაგოდეხის ხევი დროულად არ გაიწმინდა, შესაძლოა, მოხდეს ის, რაც მოხდა 2 წლის წინათ თბილისში:

„ხევი მოდის ზემოდან და შემდეგ ვიწროვდება, რადგან მთას უახლოვდება. ნაშალი რომ დაგროვდეს ამ ვიწრო ადგილზე, გამოიწვევს წყლის დაგუბებას და შესაძლებელია მდინარემ გადმოხეთქოს. წარმოიდგინეთ რა მოხდება. იგივე არ მოხდა თბილისშიც?! ამის შესახებ ინფორმირებულია ადგილობრივი ხელისუფლება“.

ღვარცოფულის კატეგორიას მიეკუთვნება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში ამავე სახელწოდების მდინარეც. როგორც ადგილობრივი ჯაფარ ისაევი ამბობს, ხელისუფლება ხალხის დახმარებისთვის რეალურად არაფერს აკეთებს. მისივე თქმით, ახლა მდინარის კალაპოტი მთიდან ჩამოტანილი ნაშალით არის ამოვსებული და თუ დროულად არ გაიწმინდა, შედეგები, შესაძლოა, სავალალო იყოს:

„ღმერთმა დაიფაროს... რომ ადიდდეს, დამთავრებულია ყველაფერი, ნახევარ სოფელს უცბად წაიღებს. კაბალს არ ჰყავს პატრონი. მდინარის კალაპოტი მაღალია და გაწმენდა უნდა. მოსახლეობას რეალური საფრთხე ემუქრება“.

მდინარე ლაგოდეხის ხევი რომ მასშტაბურ გაწმენდას საჭიროებს, ამის შესახებ ლაპარაკობენ ადგილობრივ მერიაშიც. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი ჩალათაშვილის, თქმით, პრობლემის შესახებ ინფორმირებულია შესაბამისი სამინისტრო, საიდანაც ადგილზე სპეციალისტების ჩასვლას და პროექტის მომზადებას ელოდებიან, თუმცა რა ვადებში, ეს არ იციან. ჩალათაშვილი ამბობს, რომ პრობლემის მოგვარებას სამ მილიონ ლარზე მეტი დასჭირდება. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განცხადებით, ვიდრე მასშტაბური სამუშაოები დაიწყება, პერიოდულად პრობლემის მოგვარებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტრაქტორით ცდილობენ.

„დაგვპირდნენ, რომ უახლოეს მომავალში გამოგზავნიან სპეციალისტებს, გაკეთდება პროექტი და ჩატარდება მასშტაბური სამუშაოები. კალაპოტი ამოვსებულია და საჭიროებს გაწმენდა-გაზიდვას. რაც შეეხება მდინარე კაბალს, იქ უკვე იმუშავა ტრაქტორმა, მაგრამ მოსახლეობისგან თუ შემოვიდა რამე განაცხადი, კიდევ წავლენ ჩვენი სპეციალისტები და ადგილზე შეისწავლიან მდგომარეობას. საჭიროების შემთხვევაში იქ იმუშავებს „კამაცუს“ ტიპის ტრაქტორი“, — ამბობს **გიორგი ჩალათაშვილი**.

საფრთხის შემცველი მდინარეები გურჯაანშიც არის. სოფელ ვეჯინის მოსახლეობის ნაწილი ამბობს, რომ უამინდობას შიშით ელოდებიან, რადგან მთიდან მოვარდნილი ღვარცოფი გაუწმენდავ ხევში ვერ ეტევა, გადმოდის და საცხოვრებელ სახლებს ტბორავს:

„მე სახლში არ ვიყავი. იმხელა წყალი მოდიოდა, რომ ბავშვი ჩავარდა და კინაღამ დამეხრჩო. პრობლემას ჩვენი ძალებით ვებრძვით, თუმცა ეს არასაკმარისია“.

„თუ წესიერად არ ჩალაგდა „სინკარები“ და არ გამაგრდა ჯებირი, სხვა რამის გაკეთებას აზრი არა აქვს“.

საფრთხის შემცველი ხევების გასაწმენდად 2018 წელს გურჯაანის ადგილობრივ ბიუჯეტში 100 ათასი ლარია გამოყოფილი, თუმცა არ არის ცნობილი, ეს თანხა რომელი ხევების გაწმენდას მოხმარდება. მერის პირველი მოადგილის სიმონ ქოჩორაშვილის თქმით, ამ ეტაპზე სოფელ კარდენახში არსებული ხევის რეაბილიტაციაა დაგეგმილი: **„რისკფაქტორი სადაც უფრო მაღალია, იმის მიხედვით დავგეგმავთ სამუშაოებს. მაგალითად, ხვალ ან ზეგ იწყება სოფელ კარდენახის „მღვრიე ხევის“ გაწმენდის პროცესი, იქიდან გამომდინარე, რომ რისკფაქტორი იქ უფრო მაღალია“.**

ლაგოდეხისა და გურჯაანის გარდა, ღვარცოფული მდინარეები არსებობს ყვარელსა და საგარეჯოშიც. არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის“ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის კოორდინატორ კახაბერ სუხიტაშვილის თქმით, ვიდრე საბჭოთა კავშირი არსებობდა, მდინარეთა კალაპოტები მუდმივად იწმინდებოდა ქვა-ღორღისგან და საფრთხეც მოხსნილი იყო, „ახლა კი ამ ფუნქციას მხოლოდ ქვის სამტვრევი საამქროები ასრულებს, რაც არასაკმარისია“.

გიორგი ალადაშვილი

რუსული სამხედრო წვრთნები სომხეთში

სომხეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზის ჯარისკაცები პოლიგონ ალაგიაზზე წვრთნებს გადიან. წვრთნებში 300 ერთეული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს, მათ შორის სამხედრო ავიაცია. წვრთნები ერთ კვირას გაგრძელდება, მაღალმთიან რეგიონში მანევრებისას ავია გამანადგურებლები, უპილოტო თვითმფრინავები, არტილერია და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები იქნება გამოყენებული.

სკრიპალის საქმის ახალი ვერსია

ბრიტანეთის პოლიცია ვარაუდობს, რომ სერგეი და იულია სკრიპალები წიწიბურათი მოიწამლნენ, ის ნივთიერება A234-ს შეიცავდა, წერს წყაროზე დაყრდნობით The Sun. გამოცემის ცნობით, სამართალდამცავებმა დაკითხეს სკრიპალის ახლობელი, რომელიც მსხვილი სამედიცინო კომპანიის თანამშრომელია და შესაძლებელია, მოწამლული წიწიბურას გადამტანია. სტატიაში ნათქვამია, რომ სკრიპალმა თავის ქალიშვილს რუსეთიდან წიწიბურას, დაფნის ფოთლის და სუნელების ჩატანა სთხოვა, ქალიშვილს დაავიწყდა და თხოვა მეგობარს წამოეღო, რომელიც ბრიტანეთში სხვა რეისით ჩაფრინდა.

რუსულ ენაზე სწავლება აკრძალეს

ლატვიის პრეზიდენტმა რაიმონდ ვეიონისმა ეროვნული უმცირესობის სკოლებში სწავლების ლატვიურ ენაზე გადასვლის კანონს ხელი მოაწერა. ქვეყანაში საშუალო განათლების მიღება მხოლოდ ლატვიურ ენაზეა შესაძლებელი. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს ზომა უფრო გააერთიანებს და გააძლიერებს ქვეყანას. პროფილურ სკოლებში სხვა ენებზე მხოლოდ რამდენიმე საგანის შესწავლა იქნება შესაძლებელი.

ისლამისტები ევროკავშირს უტევენ

ევროპოლის ინფორმაციით, ევროპაში მიწისქვეშა ტერორისტულ დაჯგუფებებში 30 ათასამდე წევრია.„ევროპოლის“ დირექტორის უენრაითის თქმით, ევროპას მოუწევს, წინ აღუდგეს მრავალმხრივ და სხვადასხვა ტერორისტულ გამოწვევებს. ამასვე მოწმობს ბრიტანეთის საგარეო უწყება, სადაც მიიჩნევენ, რომ 2018 წელს ტერორისტული თავდასხმების ყველაზე დიდი წილი ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაშია მოსალოდნელი. საფრთხეს ძირითადად წარმოადგენენ, ევროპის მოქალაქე მეორე ან მესამე თაობის მუსლიმი მიგრანტები, ახალგაზრდები, რომელთა რადიკალური შეხედულებები მატერიალური სიდუხჭირითაა განპირობებული. „ისლამური სახელმწიფოს განადგურებაზე საუბარი ნაადრევია, ორგანიზაციამ დიდი ტერიტორიები დაკარგა, მაგრამ მისი ნაწილები კვლავ აგრძელებენ მოქმედებებს ლიბანში, ავღანეთში, სინაიზე, აზიაში. ცოცხლები არიან მათი ლიდერები, მათ შორის ხალიფა ალ-ბაღდადი. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს ხანში მათი მხრიდან კიდევ იქნება მცდელობა „ხალიფატის“ აღდგენის, მაგრამ დღეს ის ქსელური სტრუქტურაა“, — აცხადებს სტრატეგიული დაზვერვის ევროპული ცენტრის ხელმძღვანელი კლოდ მონიკე.

აშშ სირიაში ქურთებისთვის ანკლავს ქმნის

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ აშშ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ვაშინგტონს იქ სამხედრო ბაზები აქვს, ქმნიან ლოიალურ სამთავრობო ორგანოებს. „ეს სირიის საკმაოდ დიდი ტერიტორიაა, თითქმის ირანის საზღვრამდე, ის იზოლირებულია სირიის დანარჩენი ნაწილისგან, ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ ასეთი რამ დაუშვებელია, რომ აშშ-ის მიზანი არ არის სირიის დანაწევრება“, — აცხადებს ლავროვი.

უკრაინა რუსეთს პატიმრების გაცვლას სთავაზობს

კიევი მზად არის, მოსკოვს პატიმრები გაუცვალოს, აცხადებს უკრაინის რადას ვიცე სპიკერი. „უკრაინა მზად არის, მოსკოვს გადასცეს ქვეყნის ციხეებში მჯდომი რუსეთის 20 მოქალაქე, რომელთაც ბრალად ედებათ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა, იმისათვის რომ გავათავისუფლოთ სვენცოვი, კოლჩენკო და სხვა რუსეთში მყოფი ჩვენი ტყვე.“, — განაცხადა ირინა გერაშენკომ.

პრაღაში საიდუმლო თავშესაფრის სახურავი ჩაინგრა

პრაღაში შავი ხიდის მახლობლად 3 მეტი სიღრმისა და 4-5 მეტრი ფართობის ორმო გვიან ღამით გაჩნდა. როგორც გაირკვა ორმო საიდუმლო ბუნკერის სახურავის ჩანგრევამ გამოიწვია. ატომსაწინააღმდეგო თავშესაფარი 60 წლის წინ აშენდა.

კედელი მექსიკა-აშშ-ის საზღვარზე

მექსიკა არ ცდილობს და თითქმის არაფერს აკეთებს, რომ შეაჩეროს ემიგრანტების შედინება მათ სამხრეთში და შემდეგ ამერიკაში. მისი თქმით, მექსიკამ უნდა გადაჭრას დიდი რაოდენობით ნარკოტიკების და ადამიანების დინების პრობლემა. პრეზიდენტი აქვე წერს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მექსიკა მოთხოვნებს არ შეასრულებს, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სამხრეთ ამერიკული შეთანხმებიდან (NAFTA) გავა. „მექსიკელები დასცინიან ჩვენს სულელურ ემიგრაციის კანონებს. ჩვენ შევაჩერებთ მათ ფულის მეწველ ძროხას, NAFTA. კედელი გვჭირდება! საზღვრის დაცვის პოლიციას არ ეძლევა საშუალება, შეასრულოს საკუთარი მოვალეობა საზღვართან, ამ სულელური ლიბერლაური (დემოკრატების) კანონების გამო, როგორიცაა „დაჭერა და გაშვება“. ვითარება საშიში ხდება. „ქარავნები მოდიან“. რესპუბლიკელები ატომის გზით უნდა წავიდნენ, რომ მიიღონ მკაცრი კანონები ახლავე. აღარანაირი DACA-ს შეთანხმება!“, — წერს ტრამპი.

რაჭული გირჩი ევროპაში და უკონტროლო ლიცენზიანტები

ამბროლაურის **რაიონის სატყეო უბნებში გირჩის მოპოვების ლიცენზიას 12 კომპანია ფლობს. მათი უმრავლესობა უცხოური კომპანიებია, რომელთაც გირჩის მოპოვების 10-წლიანი ლიცენზია ეკონომიკის სამინისტრომ 2009 წელს მისცა. მათ მიერ დაქირავებული მკრეფავები სეზონზე კავკასიური სოჭის გირჩს მოიპოვებენ, მიღებული თესლით კი უცხოური კომპანიები სეზონზე ასეულობით მილიონი დოლარის შემოსავალს იღებენ.**

როგორც ჩანს რაჭის რეგიონში საკმაოდ შემოსავლიან ბიზნესს თან ახლავს პრობლემებიც. ერთ-ერთი ლიცენზიანტი დანიური კომპანია, „Fair Trees"-ის წარმომადგენელი ჟანა ბაბუნაშვილი BM.GE-თან საუბარში აცხადებს, რომ გირჩის ბიზნესი სრულიად უკონტროლოა. **„ლიცენზიანტი კომპანიები რამდენიც უნდათ, იმ მოცულობის გირჩს მოიპოვებენ, ვინ მოკრიფა, გადაიხადა თუ არა კომპანიამ საშემოსავლო გადასახადი, ამას არავინ აკონტროლებს. მოსახლეობისგან დაკრეფილ გირჩს იაფად შეისყიდიან, მაშინ როცა უსაფრთხოების ნორმების დაცვით მოპოვებულ ნედლეულს სხვა კომპანიები გაცილებით ძვირად ყიდულობენ. ერთი კილოგრამი 150 ევრო გვიჯდება, მაშინ როცა 30-40 ევროდ შეიძლება იყიდო რაჭაში მოსახლეობისგან"**, — განმარტავს ჟანა ბაბუნაშვილი.

მისი თქმით, სფერო არაკონკურენტუნარიანია. ლიცენზიანტი კომპანიები შუამავლების საშუალებით მოიპოვებენ ნედლეულს. უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვის გარეშე გირჩს კრეფენ ბავშვები და მოხუცები, რომლებიც 60 მეტრ სიმაღლეზე ადიან, ზოგიერთი ე.წ „კლანჭებით", რომელიც ხის მერქანს აზიანებს, რაც ცალკე პრობლემაა.

„ისინი 1 ლარად კრეფენ გირჩს, მაშინ როცა ჩვენ მიერ დაქირავებულ მკრეფავებს, რომლებიც პირველ რიგში უცხოელ ტრენერებთან ერთად პირველადი დახმარების ტრენინგებს გადიან და აღჭურვილი არიან შესაბამისი სამოსით, გაცილებით მეტს ვუხდით" — ამბობს ბაბუნაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში რაჭული სოჭის თესლი საკმაოდ მოთხოვნადია, მიწოდება ბევრად აჭარბებს მოთხოვნას. ბაბუნაშვილი ამბობს, რომ შეუძლიათ 100 ტონა გაიტანონ ექსპორტზე, მაგრამ მოთხოვნის არარსებობის გამო 150 ათასი ტონა კვოტიდან მხოლოდ 7 ათასის ათვისება ხდება.

რაჭველებისა და ლიცენზიანტი კომპანიების გარდა, გირჩის კრეფიდან სარგებელს იღებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტიც. კომპანიები მოპოვებულ 1 კილოგრამ ნედლეულში არამერქნული რესურსის მოსაკრებელს იხდიან 20 თეთრის მოცულობით, რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შედის. დაახლოებით ეს თანხა 10 ათასი დოლარია, თუმცა როგორც ბაბუნაშვილი ამბობს, თანხა გაცილებით მეტი იქნებოდა, კომპანიები იმდენს რომ იხდიდნენ, რამდენ ნედლეულსაც მოიპოვებენ. მისი თქმით, პრობლემაა კონტროლის შესაბამისი მექანიზმის არარსებობა.

ლიცენზიანტი კომპანიებისთვის პრობლემას წარმოადგენს ასევე უკონტროლოდ მიშვებული მოსახლეობა, რომლებიც გირჩს ლიცენზიანტი კომპანიების ტერიტორიაზე მოიპოვებენ.

„ასი ათასობით ვიხდით ლიცენზიაში, ისინი კი შემოდიან და ჩვენს ტერიტორიაზე კრეფენ", — აცხადებს ბაბუნაშვილი.

პრობლემის საქმის კურსში არიან ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. როგორც BM.GE-ს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ასლან საგანელიძემ განუცხადა, ლიცენზირებული ერთი კვარტალიდან 150 ტონა ტარო შეიძლება დამზადდეს და სწორედ ამ მოცულობიდან გამომდინარე, უნდა იხდიდნენ კომპანიები გადასახადს.

მისი თქმით, პრობლემაა ასევე იმ მკრეფავების უსაფრთხოება, რომლებიც ლიცენზიანტ კომპანიებს ჰყავთ დაქირავებული. **„მათი უსაფრთხოება არ არის დაცული. პარტიზანულად მოიპოვებენ გირჩს, უბედური შემთხვევებიც იყო გასულ წლებში"**, — აცხადებს საგანელიძე.

ყოველ წელს ევროპაში 45 მილიონი ნაძვის ხე იყიდება, ამ ნაძვების 90% კი არის იმ თესლიდან, რომელიც რაჭიდან მარაგდება.

ინტერნეტიზაციის პროექტი შეიძლება, წელსაც ვერ მოესწროს!

უამისოდ ევროკავშირში სხვირს არ შეგვაყოფინებენ!

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი ბოლოს და ბოლოს იწყება. პროექტის დაწყებიდან დაახლოებით 2 წელი გავიდა, თუმცა ოპტიკურ–ბოჭკოვანი კაბელი ჯერჯერობით არცერთ სოფელში არ არის გაყვანილი. საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი „ქართული ოცნების" მიერ 2015 წელს დაანონსდა და 2016 წელს ოფიციალურად დაიწყო მისი განხორციელება, მაგრამ შედეგი აქამდე არავის უნახავს. ახლა კი მთავრობა ირწმუნება, რომ წლის ბოლომდე ყველა დაგეგმილ საკითხს გადაჭრის, თუმცა ამდენი შეფერხების შემდეგ უკვე ესეც საეჭვოა.

ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაარსებულ „ოუფენ ნეტს" პირველი ეტაპისთვის 20 მილიონი ლარი აქვს გამოყოფილი. კომპანიამ უკვე შეარჩია ის მიმართულებები, სადაც ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტუქტურას განავითარებს და ინტერნეტს გაიყვანს იმ ლოკაციებზე, სადაც ამ დრომდე კაბელი მიყვანილი საერთოდ არ არის. აღსანიშნავია, რომ კომპანია არ უზრუნველყოფს ინტერნეტის ბოლო მომხმარებლამდე მიყვანას, ის განავითარებს ინფრასტრუქტურას.



შერჩეულია რამდენიმე მიმართულება: ზუგდიდი-ჯვარი-მესტია — ჯამური ღირებულება: 5 790 000 ლარი; ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაური — ჯამური ღირებულება: 5 050 000 ლარი; სამტრედია-ჩოხატაური-ოზურგეთი — ჯამური ღირებულება: 4 280 000 ლარი; ქუთაისი-ცაგერი-ლენტეხი — ჯამური ღირებულება: 3 930 000 ლარი.

შესყიდვა სულ 4 ლოტად არის დაყოფილი. „ოუფენ ნეტი" მთავრობას სთხოვს, შესყიდვა შეზღუდულ ვადებში გამარტივებული ტენდერით განახორციელოს, რადგან ტენდერის სრული ციკლის ჩატარების შემთხვევაში ინფრასტრუქტურის სამუშაოები გვიან შემოდგომამდე ვერ დაიწყება. ამ დროს კი სამუშაოებს მეტეოროლოგიური პირობები ხელს შეუშლის.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ შესყიდვასთან დაკავშირებით მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციას შენიშვნები აქვს. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ არსებული კრიტერიუმებით შესყიდვაში მონაწილეობა მხოლოდ მსხვილ ოპერატორებს შეუძლიათ, რაც კონკურენციას ზღუდავს.

უჩა სეთური განმარტავს, რომ შესყიდვაში მონაწილეობისთვის საჭირო გამოცდილებასა და წლიური ბრუნვის კრიტერიუმს მხოლოდ მსხვილი ოპერატორები აკმაყოფილებენ. ამიტომ საჭიროა, „ოუფენ ნეტმა" შესყიდვის პირობები შეცვალოს და 4 ლოტი, უფრო მეტად დანაწევრდეს, რაც მცირე კომპანიებს შესყიდვაში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს.

„სრულიად შესაძლებელი იყო, რომ დაყოფილიყო ეს ლოტები უფრო მეტად, მაგალითად, თითოეული ლოტი სამად და სულ ყოფილიყო 12 ლოტი. ეს არ გამორიცხავდა მსხვილი ოპერატორების მხრიდან გაერთიანებული ლოტების შეთავაზების შესაძლებლობას.

ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოსთვის უკეთესი შეთავაზების მიღების შესაძლებლობაზე და ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი (საშუალო ზომის) ოპერატორებს ექნებოდათ შესაძლებლობა ნაკლები თანხების შეთავაზებისა. შესაბამისად, რა თქმა უნდა, ისინი კონკურენციაში იქნებოდნენ მსხვილ ოპერატორებთან", — აცხადებს ასოციაციის ხელმძღვანელი უჩა სეთური.

სოციალურად დაუცველებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ინტერნეტის ვაუჩერების დარიგება სექტემბრიდან დაიწყება. პროექტს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს. შეიქმნება სპეციალური ვებ-გვერდი, რომელზე დარეგისტრირების შემდეგაც პირებს ინტერნეტის ვაუჩერის (ინტერნეტის უფასო ინსტალაციის) მიღება შეეძლებათ.

პროგრამა „ინტერნეტი განვითარებისთვის" ფარგლებში ინტერნეტთან უფასოდ წვდომის საშუალება 4 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონში მცხოვრებ 60 ათას სოციალურად დაუცველ ოჯახს მიეცემა (მათ ვისი ქულაც 100 ათასს არ აღემატება). ვაუჩერების გაცემაც სექტემბერში დაიწყება. მიმდინარე წელი ვაუჩერიზაციის პროგრამისთვის საპილოტეა. 2018-19 წელს უფასო ვაუჩერი 1000 მეწარმეს და 5 ათას ოჯახს გადაეცემა.

გექა დანელია

აქტიური პროცესები აპრილში

გეოფიზიკური **აქტივობის გაძლიერება აპრილში მოსალოდნელია 3, 7, 13-18, 20, 22-24, 29 და 30 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლოა, ციკლონებისა და ქარიშხლების ფორმირება, ყველა სახეობის ავარიულობის მომატება, სეისმოაქტივობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.**

3 — მორიელის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება. შესაძლოა, აღგზნებადობის, სისასტიკისა და აგრესიულობის გამოვლენები. დიდია საშარდე გზებისა და სწორი ნაწლავის დაავადებათა წარმოშობის ალბათობა. მოერიდეთ სტრესებსა და გაციებას.

7 — თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარის სატურნთან და მარსთან შეერთება. გამორიცხული არ არის გაბედული, პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობით ნაკარნახევი საქციელები, დიდია სახსრების ანთებითი პროცესების გამძაფრება, კბილების ტკივილი.

8 — მთვარის აპოგეა, მისი ბოლო მეოთხედი, ასევე თხის რქის თანავარსკვლავედში პლუტონთან შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, გულის სნეულებები.

13 — თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნეპტუნის შეერთება. დომინანტური იქნება ემოციური, მეოცნებე, დაბნეული განწყობა. სავარაუდოა ღვიძლთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა, ძვლების, კუნთებისა და მყესების, განსაკუთრებით კი ტერფების ტკივილები.

14 — ვერძის თანავარსკვლავედში მთვარის მერკურთან შეერთება. ეს დღე დაკვირვებულობის, გამომგონებლობისა და გარკვეული სიმკვეთრის ნიშნით ჩაივლის. შესაძლოა, თავბრუხვევა და თავის ტკივილები, უძილობა.

16 — ახალმთვარეობა, ვერძის თანავარსკვლავედში მთვარის ურანთან შეერთება. ურთიერთობებში შესაძლოა, მოუთმენლობის, დამოუკიდებლად მოქმედებისა და გარკვეული ნევროზულობის, საკუთარ ძალებში ზედმეტად დაჯერებულობის გამოვლენა. გამორიცხული არ არის სამწვერა ნერვის ნევრალგია, კისრის მალების ტკივილები. მოერიდეთ გადაღლას.

18 — კუროს თანავარსკვლავედში მთვარისა და ვენერას შეერთება. დიდია ჰაიმორიტის წარმოშობის, ყელის, ფარისებრი და პარაფარისებრი ჯირკვლების, ასევე რეპროდუქციული სისტემის დაავადებათა გაჩენა. აუცილებლად მოერიდეთ გაციებას.

23 — ლომის თანავარსკვლავედში მთვარის პირველი მეოთხედი. დღის მოჭარბებულ ენერგეტიკას შესაძლოა, მოჰყვეს დაძაბულობა და გამღიზიანებლობა, ასევე გულის ტკივილები, არტერიული წნევის ნახტისებრი ცვლა.

30 — სავსემთვარეობა, მორიელის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. დიდია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრების, გულის ტკივილების წარმოშობის ალბათობა. მოერიდეთ გაციებას.

◎ ძალოსნობა

რკინაზე ძლიერნი

რუმინეთის დედაქალაქში დამთავრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა ათლეტებმა. მათ 10 ოქროს, 3 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, თანაც 4 ჩვენებური ორჭიდში გახდა კონტინენტზე უძლიერესი.

შოთა მიშველიძის **(62 კგ)** ორ ოქროსა და ვერცხლზე, ასევე, გოდერძი ბერდელიძის **(56)** ბრინჯაოზე უკვე ვწერდით. 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტოლი არ ჰყავდა 19 წლის რევაზ დავითაძეს. 23-წლამდელებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ბუქარესტში უფროსებსაც არ დაუდო ტოლი: 163 კილო აიტაცა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი დაიმსახურა, მერე 190 კილო აკრა, მხოლოდ კილოგრამით ჩამორჩა ფრანგ ბრენდონ ვაუტარდს და ვერცხლის მედალი ხვდა. სამაგიეროდ, ორჭიდში დავითაძემ 353 კილოგრამით „ოქრო“ არავის დაუთმო. ქართველ ძალოსანთაგან უფროსებს შორის ის პირველია, ვინც ამ ასაკში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

85 კგ. 1. რევაზ დავითაძე (საქართველო) – 353 (163+190), 2. კასპერ კლოსი (პოლონეთი) – 342 (153+189), 3. ბრენდონ ვაუტარდი (საფრანგეთი) – 335 (144+191).

69 კილოგრამი წონითი კატეგორიის ქალებში თავი ისახელა თათია ლორთქიფანიძემ. მართალია, იგი ბ ჯგუფში გამოდიოდა, მაგრამ აკვრაში 121 კილოგრამით ბრინჯაოს მედალი ხვდა, ხოლო ატაცსა (93 კგ) და ორჭიდში (214 კგ) მეოთხე ადგილებზე გავიდა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამჯერ ავიდა ანასტასია გოტფრიდი (90 კგ). შეგახსენებთ, რომ შარშან მან ამავე წონაში ჯერ 23-წლამდელებში მოიპოვა ოქროს სამი მედალი, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატზეც მსგავს წარმატებას მიაღწია. და აი, ბუქარესტშიც სამი ოქროთი დაიმშვენა მკერდი: ატაცში მან მეორე ცდაზე 124 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა. მერე იერიში მსოფლიოს რეკორდზე მიიტანა, მაგრამ 131 კილოგრამი ვერ დაძლია. აკვრის პირველსავე ცდაზე ანასტასიას საძილე არტერიები გაეთიშა და ფიცარნაგზე ჩაიმუხლა. საბედნიეროდ, მალევე მოეგო გონს. მეორე მისვლისას 132 კილო იოლად კი დაძლია, მაგრამ ფიცარნაგიდან კოჭლობით გამოვიდა, რადგან მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი, ამიტომ მესამე ცდა არც გამოუყენებია,

90 კგ. 1. ანასტასია გოტფრიდი (საქართველო) – 256 (124+32), 2. სარა ფიშერი (ავსტრია) – 226 (101+125), 3. კინგა კაჩმაჩიკი (პოლონეთი) – 225 (96+129).

შეჯიბრების ბოლო დღეს რუმინულ ფიცარნაგზე მძიმე წონის ათლეტებმა იასპარეზეს. ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ ორჭიდში 457 კილოგრამით კონტინენტის პირველობა ზედიზედ მესამედ მოიგო. მეორე ცდაზე მან იოლად აიტაცა 210 კილოგრამი, მესამეზე კი მსოფლიოს რეკორდის დამყარება განიზრახა, მაგრამ ამჯერად 221-კილოგრამიანი შტანგა არ დაემორჩილა. თანაგუნდელს 18 კილოგრამით ჩამორჩა 2015 წლის ევროპის ჩემპიონი და რიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ირაკლი თურმანიძე, რომელსაც ვერცხლის მედალი ერგო. აკვრისას ტალახაძემ 247-კილოიანი შტანგა აღმართა თავს ზემოთ და მესამე ცდა აღარ გამოუყენებია, რადგან ამ მოძრაობასა და ორჭიდში ევროპის ჩემპიონობა გაინაღდა.

+105 კგ. 1. ლაშა ტალახაძე (საქართველო) – 457 (210+247), 2. ირჟი ორსაგი (ჩეხეთი) – 417 (181+236), 3. პეტერ ნადი (უნგრეთი) – 416 (191+225), 4. ირაკლი თურმანიძე (საქართველო) – 415 (192+223).

საქართველოს ვაჟთა ნაკრები 574 ქულით პირველ ადგილზე გავიდა. მეორე-მესამე ადგილები რუმინეთსა (525) და პოლონეთს (451) ერგო. ჩვენებმა მედლებითაც ყველას აჯობეს - 7 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო. მეორე და მესამე ადგილები რუმინელებმა (3,4,4) და ალბანელებმა (3,0,0) დაიკავეს. საქართველოს ქალთა ნაკრები 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედლით მე-4 იყო.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

სეზონში პირველი

მარიამ ბოლძვაძე ეგვიპტის კურორტ შარმ ელ შეიხში გამართული $15.000-იანი საერთაშორისო ტურნირის Sharm El Sheikh წყვილთა თანრიგის გამარჯვებულია.

ფინალში ქართველისა და ჩეხი ბარბარა სტეფკოვას დუეტმა კოლუმბიელების მარია პაულინა პერეს-გარსიასა და პაულა ანდრეა პერეს-გარსიას ტანდემი ორ სეტში – 6:2, 7:6 დაამარცხა.

მიმდინარე წელს ეს ბოლქვაძისთვის პირველი ტიტულია. ის შარმ ელ შეიხში ერთეულთა თანრიგშიც ასპარეზობდა, სადაც მეოთხედფინალამდე მისვლა შეძლო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

დღეს თურქები განსჯიან

უეფას ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ მეოთხედფინალურ მატჩს ტურინის „იუვენტუსსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის თურქ მსაჯთა ბრიგადა განსჯის.

მთავარი არბიტრი ჩიუნეთ ჩაქირი იქნება, რომელსაც ასისტენტობას ბაჰატინ დურანი და ტარიკ ონგუნი გაუწევენ, მეოთხე მსაჯის მოვალეობას კი მუსტაფა ემრე ეისოი შეასრულებს.

ჩიუნეთ ჩაქირი 2015 წელს „ბარსელონასა“ და „იუვენტუსის“ ფინალური მატჩის მსაჯი იყო, ხოლო „რეალის“ მონაწილეობით ყველაზე ცნობილ შეხვედრას 2013 წელს წარუძღვა, როდესაც „სამეფო კლუბმა“ „ოლდ ტრაფორდზე“ „მანჩესტერი“ დაამარცხა.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

საქართველო ევროპის ჩემპიონია!

პოლონეთში 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში საქართველოს ნაკრები პორტუგალიელ თანატოლთა გუნდს შეხვდა და მშრალი ანგარიშით დაამარცხა – 25:0. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ტაიმი 10:0 მოიგეს, შესვენების შემდეგ კი მონაგარი 15 ქულით გაზარდეს. ამ გამარჯვებით ქართველები ზედიზედ მეოთხედ გავიდნენ ფინალში და ისევ ფრანგებს შეხვდნენ. წინა სამ პაექრობაში „სამფეროვნებმა“ იმარჯვეს (57:0, 42:0, 36:18). ისინი ახლაც იოლ გამარჯვებას გეგმავდნენ, მაგრამ ჩვენები სხვაგვარად ფიქრობდნენ – რევანში ეწადათ და მოედანზეც ამ განწყობით გავიდნენ.

პირველ ტაიმში ერთი ლელოც გაიტანეს, მაგრამ გარდასახვა ვერ მოხერხდა. შესვენებამდე ფრანგებმა ერთი ზუსტი საჯარიმო დარტყმით შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება – 5:3. მეორე ტაიმი მეტწილად გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა, იყო მომენტები, როცა ფრანგები მთელი შემართებით გვიტევდნენ, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა გაუძლეს ამ იერიშებს და რამდენჯერმე თავადაც სახიფათოდ შეუტიეს. ერთ-ერთ მომენტში ფრანგები დაჯარიმდნენ და ქართველებმა საჯარიმო დარტყმით სხვაობა ისევ გაზარდეს – 8:3. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა (მთავარი მწვრთნელი **დავით ჩავლეიშვილი**) ამ ანგარიშით გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა.

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ფინალში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **სასტარტო:** გიორგი მიქანაძე (არმაზი), ზურაბ ქავთარაძე (ხარები), დემურ თაფლაძე (ლელო – სარასენსი), ლაშა ლომიძე (აია), თეიმურაზ ჭიჭინაძე (ჯიქი), ნიკა ცინცაძე (ხვამლი), გიორგი მარგალიტაძე (ლელო – სარასენსი); დავით აბდუშელიშვილი (ლელო – სარასენსი), ვანო პარკაძე (აია), ლუკა ჭელიძე (ლელო-სარასენსი), ტარიელ გვიმრაძე (ხვამლი), იოანე იაშაღაშვილი (იუნკერები), ნიკოლოზ ღამბაშიძე (ლელო-სარასენსი), ბექა ყორიაული (ლელო – სარასენსი), 8. გიგი ლეშკაშელი (ბაგრატი). **სათადარიგოები:** ირაკლი მჭედლიძე (ლელო – სარასენსი), საბა კურატიშვილი (არმაზი), ხვიჩა ცოფურაშვილი (სტად ფრანსე), ლუკა მაჭარაშვილი (არმაზი), ვლადიმერ ჩაჩანიძე (ლელო – სარასენსი), მიხეილ ალანია (ჯიქი); გიორგი თევდორაძე (აია), ირაკლი სიმსივე (აია), ოთარ ლაშხი (ჩოხოსნები), ბართლომე კალაძე (იუნკერები), საბა კურტანიძე (ხვამლი).

გივი გაგუა

◎ კრივი

რუმინული ნადავლით

საერთაშორისო სარბიელზე მსგავსი წარმატებისთვის ქართველ მოკრივეებს არასდროს მიუღწევიათ: ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით ბრუნდებიან ისინი რუმინეთიდან, რომელმაც 22-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს რვა წარმომადგენელი მონაწილეობდა: სახილ ალახვერდოვი – 49 კგ. ნოდარ დარბაიძე – 52 კგ, ოთარ ნავერიანი – 60 კგ, ლაშა გურული – 64 კგ, ესკერხან მადიევი – 69 კგ, გიორგი ხარაბაძე – 75 კგ, ნიკოლოზ ბეგაძე – 91 კგ და გიორგი ჭიღლაძე – +91კგ (მწვრთნელები – შალვა დუნდუა, ბეჟან ჭიჭინავა, მსაჯი ტარიელ გოგოჭური). მათგან ოთხმა სხვადასხვა სინჯის ჯილდოები დაიმსახურა.

თბილისელმა სახილ ალახვერდოვმა ნახევარფინალური პაექრობის მე-2 რაუნდის პირველ წუთზე გერმანელი ფერადკანიანი სალახ ომარ იბრაჰიმი ნოკაუტში გაგზავნა, ფინალი კი ისმაილ აბუმუსლიმოვთან (რუსეთი) დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

შარშანდელი მსგავსი შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორმა ლაშა გურულმა ამჯერად შედეგი გააუმჯობესა: ნახევარფინალში ვლადისლავ ბარიშნიკი (გერმანია), ხოლო ფინალში თურქი ტურგულხან ერდერიმი დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. მსაჯებს შედეგი გაუპროტესტა თურქმა სპორტსმენმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მისმა გამომწვევმა საქციელმა თურქი ქომაგებიც გააღიზიანა და, რომ არა მასპინძელთა დროული ჩარევა, არავინ იცის ინციდენტი რა შედეგით დასრულდებოდა.

საქართველოს ნაკრებს მეორე ვერცხლის მედალი გიორგი ხარაბაძემ მოუტანა. მართალია, მან ნახევარფინალში იოლად ჩამოიშორა გზიდან მიხაილ ოსტროუმოვი (ისრაელი), მაგრამ ოქროს მედლისთვის პაექრობაში უკრაინელ ოლექსი ტოკარჩუკთან ვერაფერს გახდა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ოთარ ნავერიანმა, რომელმაც ნახევარფინალი ბელარუს ძმიტრი ასანაუსთან წააგო.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ლაშა გურული (მარცხნივ)

◎ ძიუდო

ქართულ-ფრანგული გრან პრი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თბილისის გრან პრი 5 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედლით დაასრულა და საერთო გუნდურ ჩათვლაში 38 ქვეყნის ნაკრებებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. სამდღიანი შეჯიბრების დასკვნით დღეს საპრიზო სამეულები კაცებში 90, 100 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში შეივსო, ქალებში – 78 და +78 კილოგრამებში. საქართველოს სახელით კონკურენციაში 15 სპორტსმენი ჩაება და მათგან 3-მა მედალი მოიპოვა. გურამ თუშიშვილი (+100 კგ) ჩემპიონი გახდა, გიორგი პაპუნაშვილი (90 კგ) ვერცხლს დაეუფლა, ხოლო ონისე სანებლიძე (100 კგ) და ლევან მატიაშვილი (+100 კგ) - ბრინჯაოებს.

ევროპის მოქმედი ჩემპიონი გურამ თუშიშვილი თბილისის გრან პრიზე პირველ ნომრად იყო განთესილი. იგი საქმეში მეორე წრიდან ჩაება და აზერბაიჯანელი ჯალილ შუკუროვი ორ წუთში დაანარცხა ბეჭებზე, ჰოლანდიელ ხურსპიკერსს წუთი აკმარა, ნახევარფინალში ლევან მატიაშვილი შებოჭა, ფინალში კი ირანელ ჯავად მაჰჯუბთან ვაზარით ჩამორჩენა შებოჭვით შემოატრიალა, თავად თბილისის გრან პრიზე პირველი მედალი მოიპოვა, საქართველოს ნაკრებს კი მეხუთე ოქრო მოუტანა და გუნდურ ჩათვლაში გაჩემპიონება გაუნაღდა.

გრან პრის ჩემპიონობით გურამ თუშიშვილმა 700 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა, ვერცხლის პრიზიორმა გიორგი პაპუნაშვილმა – 490, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორებმა ონისე სანებლიძემ და ლევან მატიაშვილმა – 350-350.

გიორგი პაპუნაშვილმა პირველ მეტოქეს – თურქმენ ტეჟენ ტეჟენოვს სამ წუთში ორი ვაზარი შეუსრულა; ბრაზილიელ გუსტავო ასისთან ვაზარით ჩამორჩა, მაგრამ სწრაფადვე გამოიჭირა მეტოქე შებოჭვაზე; პოლონელ პიოტრ კუჩერას წუთი და 37 წამი აკმარა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ შვეიცარიელ სირილ გროსკლაუსს შეხვდა. უილეთო შეხვედრაში საფინალო გონგამდე 17 წამით ადრე გროსკლაუსმა მესამე გაფრთხილება მიიღო.

საჩემპიონო ბრძოლაში გიორგი პაპუნაშვილი ახალგაზრდებში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონს – ბრაზილიელ რაფაელ მასედოს დაეჭიდა და დაძაბულ ბრძოლაში მეექვსე წუთზე ვაზარით დამარცხდა. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო ტურში შემავალ ტურნირებზე პაპუნაშვილი საპრიზო სამეულში პირველად შევიდა.

ჭაბუკებს შორის ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორმა ონისე სანებლიძემ გერმანელი დომენიკ შონეფილდისა და ბრაზილიელი ლეონარდო გონსალვეშის ძლევის შემდეგ ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა – რუსეთის ნაკრების წევრ მერაბ მარგიევთან შებოჭვაზე მოჰყვა. რეპეშაჟში 19 წლის ქართველმა ძიუდოისტმა ჯერ ყაზახი ჟასულან მუხამეტხანოვი დაამარცხა, „ბრინჯაოს ფინალში“ კი თანაგუნდელ იასონ ნემსაძეს უნდა დასჭიდებოდა, მაგრამ ტატამზე მარტო მოუწია გასვლა და უბრძოლველად იმარჯვა.

იასონ ნემსაძემ ძირითად ბადეში ოთხი შეხვედრა ჩაატარა – ლიტველი კაროლის ბაუზას, რუსეთელი რამაზან მალსუიგენოვისა და ირლანდიელი ბენჯამინ ფლეჩერის ძლევის შემდეგ ნახევარფინალში ებრაელ პეტერ პალჩიკთან წააგო.

მძიმე წონაში ოთხი ქართველიდან სამი სატურნირო ბადის ერთ მხარეს მოხვდა. ადამ ოქრუაშვილისა და ლევან მატიაშვილის გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთა და უილეთო ბრძოლის ბედი ოქრუაშვილის მესამე გაფრთხილებამ გადაწყვიტა. ამ წაგების შემდეგ ადამ ოქრუაშვილს ბრინჯაოს მედლისთვის უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა, მაგრამ ტატამზე აღარ გასულა.

ლევან მატიაშვილმა თანაგუნდელის ძლევამდე კუბელი ენდი გრანდა ჩამოიშორა გზიდან, გურამ თუშიშვილთან წაგების მერე კი რეპეშაჟის ფინალში ფრანგი ჰამზა ოუჩანი დაანარცხა ტატამს და გრან პრის კვარცხლბეკზე მეცხრედ ავიდა.

ბადის მეორე მხარეს ონისე ბუღაძემ ყაზახ დაურენ ნურალინოვსა და ბრაზილიელ ჯონას ინოსენსიოს მოუგო, ნახევარფინალში კი ირანელ მაჰჯუბთან ვეღარას გახდა და ბრინჯაოს მედლისთვის ჰოლანდიელ სპიკერსს დაეჭიდა. უილეთო 4 წუთის შემდეგ ბრინჯაოს ბედი „ოქროს დროში“ შიდომ გადაწყვიტა ჰოლანდიელის სასარგებლოდ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილზე გასულ საფრანგეთს მხოლოდ ვერცხლ-ბრინჯაოებით აჯობა. „სამფეროვნებმა“ ხუთივე ოქროს მედალი ქალთა შეჯიბრებაზე მოიპოვეს.

ჩემპიონთა გალერეა

კაცები

60 კგ. ლუხუმ ჩხვიმიანი (საქართველო).

66 კგ. ვაჟა მარგველაშვილი (საქართველო).

73 კგ. ლაშა შავდათუაშვილი (საქართველო).

81 კგ. თამაზ კირაკოზაშვილი (საქართველო).

90 კგ. რაფაელ მასედო (ბრაზილია).

100 კგ. პეტერ პალჩიკი (ისრაელი).

+100 კგ. გურამ თუშიშვილი (საქართველო).

ქალები

48 კგ. მარუსა სტანგარი (სლოვენია).

52 კგ. ამანდინ ბუჩარი (საფრანგეთი).

57 კგ. ტერეზა შტოლი (გერმანია).

63 კგ. კლარის აგბენონუ (საფრანგეთი).

70 კგ. მარი ევ გაიე (საფრანგეთი).

78 კგ. ოდრი ჩემეო (საფრანგეთი).

+78 კგ. რომან დიკო (საფრანგეთში).

კობა კობახიძე

სანთელი

მზია ქავჯაია, შორენა, ვოვა იოსელიანები, სპარტაკ ქობულია ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შესანიშნავი პროფესიონალი, ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება

გოჩა მამულაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

„ვერის ბაღის“ საზოგადოების წევრები მწუხარებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ვერნი ალფაიძეს

მეუღლის

გარდაცვალების გამო.

სპარტაკ ქობულია, გია პლატონიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ტურაბელიძე სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს ვერნი ალფაიძეს

მეუღლის

გარდაცვალების გამო.

ასლან ბეჟანიძეზე ძებნა გამოცხადდა

აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის შვილიშვილის დავით ოთხმეზურის მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებულზე ასლან ბეჟანიძეზე შსს-მ ძებნა გამოაცხადა. ის ამ დრომდე არ დაუკავებიათ.

რამდენიმე დღის წინათ, უზენაესმა სასამართლომ ორი ინსტანციის მიერ გამართლებული ასლან ბეჟანიძე დამნაშავედ სცნო და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა, ბეჟანიძე საპატიმროში 6 წელს გაატარებს.

მოსამართლეთა კოლეგიაში, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძეც შედიოდა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ ბეჟანიძის ერთ-ერთმა ადვოკატმა ირაკლი ჩომახაშვილმა განუცხადა, ისინი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრებენ. როგორც ადვოკატი აცხადებს, ისინი სამართლიანობას კანონიერი გზით მიაღწევენ და არავისგან დამალვას არ აპირებენ.

ცნობისთვის, 2004 წლის 27 ოქტომბერს, თბილისში, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის 18 წლის შვილიშვილი დავით ოთხმეზური მოკლეს. აღნიშნულ საქმეზე პროკურატურა 11 წლის განმავლობაში დუმდა. 2015 წლის მარტში კი პროკურატურამ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გააქტიურა. 2016 წლის 26 მარტს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ასლან ბეჟანიძე დააკავეს. პროკურატურა ირწმუნებოდა, რომ 2004 წლის მკვლელობის დღეს, დავით ოთხმეზურსა და ასლან ბეჟანიძეს შორის კონფლიქტი მობილიურ ტელეფონთან დაკავშირებით წარმოიშვა, რა დროსაც, ბეჟანიძემ ოთხმეზურს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2016 წლის 22 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ასლან ბეჟანიძე უდანაშაულოდ სცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

4 ოქტომბერს კი, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა.

ეკატერინბურგში ქართველი არალეგალები ქურდობაზე დააკავეს

ეკატერინბურგში პოლიციამ ჩარატებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 4 ბოროტმოქმედი დააკავა. აქედან 2 საქართველოს მოქალაქეა, რომლებიც რუსეთში არალეგალურად იმყოფებოდა. დამნაშავეებს ბრალად ბინებისა და ავტომანქანების ქურდობა ედებათ. გამოძიების ცნობით, ისინი სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებში მოქმედებდნენ, როგორც წესი, ეჭვმიტანილები ავტომობილის საბურავს აზიანებდნენ, შემდეგ დახმარებას სთავაზობდნენ მფლობელს, და პროცესში ავტომანქანის სალონს ძარცავდნენ. დაზარალებულთა შორის ერთ-ერთი ეკატერინბურგის მოსამართლეა. ეკატერინბურგში სამართალდამცავებმა რამდენიმე ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნაქურდალი ნივთები ამოიღეს, მათ შორის გამოძიებას გადაეცა 2 ავტომობილი.

დენის დარტყმით 21 წლის ახალგაზრდა დაიღუპა

გორის რაიონის სოფელ მერეთში უბედური შემთხვევა მოხდა.

21 წლის მამაკაცი მაღალი ძაბვის ელექტრობოძზე იყო ასული, მას დენმა დაარტყა და ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევის შედეგად მასთან ერთად მყოფი კიდევ ერთი ახალგაზრდა მამაკაცი დაშავდა, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა.

ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მწვანე კონცხის ნაკრძალიდან ხის გაყიდვა ვის მოაფიქრდა?!

მწვანე კონცხზე მდებარე ევკალიპტის ხის ბედი კვლავ გაურკვეველია. აუქციონის პირობების თანახმად, გამარჯვებულმა ხის ღირებულება 5 აპრილამდე უნდა გადაიხადოს. „ჯი-ეიჩ-ენს“ ფონდის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გიორგი ვაშაძემ განუცხადა, რომ თანხას დადგენილ ვადებში გადაიხდიან.

აუქციონის პირობებში წერია, რომ გამარჯვებულმა ხე ამჟამინდელი ადგილიდან უნდა გადაიტანოს. „დმანისის გადარჩენის ფონდის“ წარმომადგენლებიც ამბობენ, რომ ხის გადატანას არ აპირებენ.

რა ბედი ელის სამასწლოვან ევკალიპტის ხეს, თუ „დმანისის გადარჩენის ფონდი“ ამჟამინდელი ადგილიდან არ გადაიტანს, ამის გასარკვევად „ჯი-ეიჩ-ენმა“ ფინანსთა სამინისტროს მიმართა.

როგორც ირკვევა, თუ ოპოზიცია ხის საფასურს 20 020 ლარს გადაიხდის და მისი მფლობელი გახდება, არ ნიშნავს, რომ ხე მისი საკუთრებაა. ევკალიპტი „დმანისის გადარჩენის ფონდის“ საკუთრება მას შემდეგ გახდება, რაც აუქციონის ყველა პირობას შეასრულებს. ერთ-ერთი პირობა კი მისი ამჟამინდელი ადგილიდან გადატანაა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამარჯვებულს აუქციონის პირობების შესასრულებლად, სტანდარტულზე სამჯერ მეტი ვადა მიეცა. „დმანისის გადარჩენის ფონდს“ სტანდარტული 10-დღიანი გატანის ვადის ნაცვლად, განესაზღვრა 30 კალენდარული დღე.

„თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი, 30 კალენდარული დღის ვადაში ვერ უზრუნველყოფს ქონების გატანას განთავსების ადგილიდან, მას შეუძლია წერილობით მოითხოვოს ქონების გატანის დამატებითი ვადის მიცემა შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდით და თუ სააგენტოს მიერ დადგენილ დამატებით ვადაშიც ვერ უზრუნველყოფს ქონების გატანას, ელექტრონული კონტრაქტი მოიშლება ცალმხრივად, ავტომატურად, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული პირი დაკარგავს საგარანტიო თანხას, ხოლო ქონების განკარგვა განხორციელდება ხელახლა“, — განუცხადეს „ჯი-ეიჩ-ენს“ ფინანსთა სამინისტროში.

სამი საუკუნის ევკალიპტის ჯიშის ხე 27 მარტს, ელექტრონულ აუქციონზე 20 020 ლარად გაიყიდა და ის „დმანისის გადარჩენის ფონდმა“ შეიძინა. ვაჭრობისას აუქციონს ორი მონაწილე ჰყავდა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების ვარაუდით, მეორე მონაწილე ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის კომპანია იყო, რომელიც ივანიშვილს ხეების გადატანაში ეხმარება. ლოტის საწყისი ღირებულება კი 7000 ლარს შეადგენდა.

რას არ გაიგებ!..

- ტყუპების დაბადების ალბათობაა 1:90-ზე, სამი ტყუპის — 1:10 ათასზე, ოთხისა კი 1:650 ათასზე.
- სიზმრების 90 პროცენტი ადამიანს გაღვიძებიდან 10 წუთში ავიწყდება.
- სამეჯლისო ცეკვისას ადამიანი საათში 2000 კილოკალორიას წვავს, ხოლო დისკოთეკაში, სადაც ყველა ისე მოძრაობს, როგორც შეუძლია, მხოლოდ 400 კილოკალორიას.
- ორი თვის ჩვილებს უკვე შეუძლიათ მოძრაობების მუსიკის რიტმზე აყოლება.
- მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 40 მილიონი სამგზავრო ავიარეისი სრულდება.

- რომის პაპს ატომური ომისა ეშინია, რომლის დასაწყებად, მისი თქმით, შესაძლოა, რაღაც აბსურდული, სრულიად უმნიშვნელო ინციდენტი აღმოჩნდეს.
- ბუდიზმი — ერთადერთი მსოფლიო რელიგიაა, რომელშიც სამყაროს შემქმნელი ერთიანი ღმერთი არ არსებობს.
- გამუდმებულად ხმაურიან გარემოში ყოფნა ადამიანს სიცოცხლეს დაახლოებით ხუთი წლით უმოკლებს.

რამსიმაღლე გაზრდილხარ, შვილო!

ბევრს, ალბათ, აინტერესებს — მაინც რატომაა, რომ სულ უფრო მეტი შვილი მშობლებზე ბევრად მაღალია?

აქსელერაციის პროცესი პირველად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და ის დღემდე გრძელდება. იგი ყველა განვითარებულ ქვეყანაში აღინიშნება. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს გარემოება კვების კალორიულობის მატებასა და ცხოვრების უფრო კომფორტულ პირობებთანაა დაკავშირებული. ასევე აჩქარდა ბიოლოგიური მოწიფულობაც. მაგალითად, გოგონებში პირველი მენსტრუალური ციკლის დადგომის საშუალო ასაკი 12 წელი და 7 თვეა, ხოლო გასული საუკუნის 40-იან წლებამდე ეს ვადა 14 წელი და 9 თვე იყო.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მხატვარი და მსგავსება

ახალგაზრდა მხატვარი-პორტრეტისტი თავის სახელოსნოში იჯდა დანაღვლიანებული, გვერდით ეჯდა ასევე დანაღვლიანებული ახალგაზრდა ცოლი, უკვე რამდენიმე დღე იყო სახელოსნოში კაციშვილი არ შემოსულა პორტრეტის შესაკვეთად და ახალგაზრდა წყვილი ქესატად იყო.

ასეთ დანაღვლიანებულ პოზაში შეესწრო ერთი მარიფათიანი მეზობელი.

— ოჰ, რა ბეჩავი წყვილი ხართ! — შესძახა მან. — აი, სწორედ ასეთ მდგომარეობაში უნდა დახატო თქვენი პორტრეტი, ნაღვლიანი ახალგაზრდა მშვენიერი წყვილი. მერე ეს პორტრეტი სახელოსნოს წინ გამოფინე, ვინც შენ და შენს ცოლს გიცნობთ, ყველას შესძრავს თქვენი ნაღველი და საოცარი მსგავსება, მერე ბევრს მოუნდება ამ ნახელავის შეძენა. აი, ნახავ, შენი საქმე როგორ გამოსწორდება.

მხატვარმა ყური არ ათხოვა რჩევას, რამდენიმე დღეში სახელოსნოს კართან გაჩნდა ავტოპორტრეტი.

პირველი მხატვრის სიმამრი გამოჩნდა.

— ვინ არის ეს ახალგაზრდა მშვენიერი ქალბატონი? — იკითხა მან.

— თქვენი ქალიშვილია, პატივცემულო სიმამრო.

— ჩემი ქალიშვილი?! — გაბრაზდა სიმამრი, — მერედა, რატომ მიეცი ნება შენ ცოლს, რომ ვიღაც უცხო ახალგაზრდა კაცთან ეპოზიორა?!

მომწერე უფრო ხშირად

ცოლი საზაფხულოდ ზაკოპანეში მიდის. ქმარი სადგურში აცილებს.

— საყვარელო, რაც შეიძლება ხშირად მომწერე. — სთხოვს ცოლი. — ღია ბარათებს არ გიტოვებ, საფოსტო გზავნილის უკანასტარზე სპეციალურად ადგილია დატოვებული წერილებისთვის.

თანამედროვე ბავშვი

ძუძუთა ბავშვი ჩაბჟირებულია. დედა უამრავ ხერხს მიმართავს, მაგრამ ვერ აჩუმებს. პატარა იანი, რომელიც კარგა ხანია ჩაბჟირებულ ძამიკოს თვალს ადევნებს, ველარ ითმენს და დედას ეუბნება:

— ვერ გამიგია, რატომ გამოიყვანე ეს ბავშვი ისე, რომ არც ტექნიკური პასპორტი აგიღია და არც გარემონტების რეგულაციები.

ხერხი

პატარძალი აღვარღვარებული ცრემლებით საქმროსთან მიდის.

— რა იყო, საყვარელო, რა დაგემართა? — ეკითხება საქმრო.

— ძალიან ცუდი ამბავი გავიგე, მამაჩემი გაკოტრდა და ყველაფერი დავკარგეთ.

— ეგრეც ვიცოდი, რომ მამაშენი ჩვენი გაყრისთვის რაიმეს მოიგონებდა.

სამახსოვრო დღე

— **საშინელი** ვინმე ხარ! — წამოიძახებს ცოლი. — ჩემზე სულ არ ფიქრობ! შენ მარტო ფეხბურთი გელანდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქორწინების დღეც კი აღარ გახსოვს.

— რას ამბობ, მახსოვს რომელია! ეს იმ დღეს მოხდა, როცა „გურნაკმა“ 2:1 მოუგო „მაგნეტის“.

შეურაცხმყოფელი სათნოება

მორცხვმა ახალგაზრდა კაცმა სიმამაცე მოიკრიბა და გოგოს აკოცა, იმავ წამს კარი გაიღო და ოთახში დედა შემოვარდა და შეჰყვირა:

— გარდა იმისა, რომ ჩემს ქალიშვილს აკოცეთ, სამი საათი ამ კართან მაყურყუტე!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4144; ევრო - 2.9762;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3932;
100 რუბლი - 4.2081; თურქული ლირა - 0.6109;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4290;
1000 სომხური დრამი - 5.0352.

ამინდი 3 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +8
თბილისი: ღამე +9, დღე +14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge